ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 10 სექტემბერი, 2021 №169 (8698) ფასი: 60 თეთრი

## ყვარელში საქართველოს ბანკის ფილიალში მძარცველი შეიჭრა

პოლიციამ თავდამსხმელი დააკავა

გვ.5



# „რა თანხას სთხოვდა გახარია კალაძეს"



გვ.2

ლადო სადღობელაშვილი: „გახარიას უკან ბიზნესმენი თემურ იაკობაშვილი დგას"





## „ივანიშვილის სურვილიცაა, სააკაშვილი ჩამოვიდეს"

## „სააკაშვილი რას მოიმოქმედებს, არავინ იცის"



გვ.4

პეტრე მამრაძე: „მიშა დაბადებულია კინორეჟისორად, ის აზროვნებს არა სიტყვებით, არა ფრაზებით, არამედ სურათებით. მიშა ამბობდა, მთავარია ტელეეკრანზე რა „კარტინკას" დადგამო"



გვ.3

## შალვა შავგულიძე: „ოცნება" რომ ქუჩას ეყრდნობა, ამის საილუსტრაციოდ კორცხელიც კმარა"



## „ოცნებამ" იცოდეს, დასავლეთის იმედგაცრუებები უკვალოდ ვერ ჩაივლის"



გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „თანამედროვე დემოკრატიაში უპირობო წესია, როდესაც შენს პარტნიორ სახელმწიფოებს აძლევ პირობას, ის უნდა შეასრულო"



გვ.2

## როგორ აისახება საქართველოზე კავკასიაში შექმნილი სიტუაცია?

ბაქო რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის უფლებამოვალეობების განსაზღვრას მოითხოვს

ISSN 1987-9385

**5** ნიკა მელიამ 2021 წლის 7 სექტემბრის ამნისტიაზე უარი თქვა

**5** რაფაელ მურსაკულოვი შანაი ბრუკის მკვლელობას არ აღიარებს

მას ბრალს 10 სექტემბერს წაუყენებენ

**5** ფონიჭალაში „ტვ პირველის" ოპერატორზე ძალადობის ფაქტზე დაკავებულს ბრალი წარედგინა

**6** მაროკოს საპარლამენტო არჩევნებში ლიბერალური პარტია ლიდერობს

# „რა თანხას სთხოვდა გახარია კალაძეს“

## ლადო სადღობელაშვილი: „გახარიას უკან ბიზნესმენი თემურ იაკობაშვილი დგას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

***– ლადო, წინასაარჩევნო კამპანია გახურდა და როგორც მოსალოდნელი იყო, ბინძური მეთოდებით ბრძოლაც დაიწყო. როგორ აფასებთ შექმნილ სიტუაციას?***

– არის რაიმე ისეთი მეთოდი, თუნდაც ბინძური, რაც პირველად ვნახეთ და აქამდე არ ყოფილა?! ყველა არჩევნების წინ ასეა.

***– განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გიორგი გახარიამ საკუთარი კანდიდატურა დაასახელა თბილისის მერობაზე, ხელისუფლების აგრესია აღარ იმალება. დაიწყო კომპრომატების ომი. ელით, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად ეს პროცესი კიდევ მეტად გააქტიურდეს?***

– არჩევნების ჟამი, ეს მართლაც არის კომპრომატების ომი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები. გიორგი გახარია, როგორც კი ის გამოჩნდა სახელისუფლო შტოებში, ჩემთვის იყო მიუღებელი. არ მესმოდა თუ საიდან მოვიდა ეს ადამიანი. ვინ იყო მისი მფარველი, ვისი ინტერესების გამტარებელი იყო, ან ვინ იყო ამ ადამიანის დამფინანსებელი. ასეთ ადამიანებს ყოველთვის ჰყავთ ხოლმე თავისი ბიზნესპარტნიორები, რომლებიც მათ პოლიტიკაში მოსვლაში ეხმარებიან და შემდეგ თავის დივიდენდებს ითხოვენ.

***– ვინ იყო გახარიას ბიზნესპარტნიორი?***

– თავიდან მე მქონდა განცდა, რომ ამ ადამიანის უკან ვანო ჩხარტიშვილი იდგა, რადგან თურნავას ვხედავდი მის მთავრობაში, ასევე ძალიან გაშლილად იყო წარმოდგენილი ჩხარტიშვილის ბიზნესები, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, რაც უფრო დრო გადის, დავინახე, რომ მარტო ჩხარტიშვილი არ ყოფილა მის უკან.

***– კიდევ ვინ იყო?***

– აქ საუბარი არის თემურ იაკობაშვილზე, რომელიც გახლავთ რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, მილიარდერი, არაფრით ჩამოუვარდება მისი ქონება ივანიშვილისას და, რა თქმა უნდა, კეზერაშვილი, რომელიც არის იაკობაშვილის ერთ-ერთი ბიზნესპარტნიორი საქართველოში. 2013 თუ 2014 წელი იყო, ბატონი გახარია რომ გამოჩნდა ბიზნესომბუცმენად, შემდეგ დააწინაურეს ეკონომიკის მინისტრად, კვირიკაშვილის პრემიერობისას და შემდეგ შს მინისტრად და ბოლოს პრემიერად. გამოჩნდა თუ არა გახარია და დაიწყო მისი დაწინაურება, ბატონმა იაკობაშვილმა იყიდა კეზერაშვილის ძირითადი ბიზნეს ქტივები საქართველოში. ამ ყველაფრის გადამოწმება ძალიან მარტივია.

***– საით მიანიშნებ, რომ მოკავშირეები და ერთი გუნდის წევრები არიან?***

– კი, რა თქმა უნდა. აი ეს სამეული, გახარია, იაკობაშვილი და კეზერაშვილი ერთობლივი ჯგუფია, რომელიც ბიზნესშიც და მთავრობაშიც თავის ინტერესს ატარებდა. მე არ ვსაუბრობ ჭორებზე დაყრდნობით, ძალიან მარტივადაა შესაძლებელი ამ ყველაფრის გადამოწმება. მე მინდა მკითხველს დავანახო, რომ ეს მართლა ერთიანი ჯგუფია.



***– ლადო, ამბობ, რომ ერთიანი ჯგუფია, ასევე ძალიან მარტივია მათი ერთობის დადგენაო. ჩვენთვის თუ ასე მარტივია, დავიჯერო ასე დაფარული იყო ივანიშვილისთვის? ივანიშვილის გარეშე, გახარია ხომ ვერ დაწინაურდებოდა?***

– რა თქმა უნდა, არა. გახარია როდესაც შემოვიდა ქართულ რეალობაში, მისი ფინანსური გარანტორები, სწორედ კეზერაშვილი და იაკობაშვილი იყვნენ. მე არ ვიცი, ივანიშვილი საქმის კურსში იყო თუ არა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ იქნებოდა. მე ვსაუბრობ ფაქტებზე და ამ წუთას ნაკლებად მაინტერესებს, ივანიშვილი საქმის კურსში იყო თუ არა. 2016 წელს, როდესაც კვირიკაშვილი იყო პრემიერ-მინისტრი, ქუმსიშვილი ფინანსთა მინისტრი და ბატონი გახარია, ეკონომიკის მინისტრი, კეზერაშვილს ჩამოაწერეს ყველა ძველი ცოდვა, სასამართლომ გაამართლა ყველა საქმეში, გარდა ამ ერთისა, რომელზეც გუშინ 5 წელი მიესაჯა, პრაქტიკულად მასზე მეტი საქმე აღარაა აღძრული. ამის სანაცვლოდ, კეზერაშვილს ვალდებულება დაეწერა, რომ ბოკერიას პარტია დაეფინანსებინა და პლუს ამას, გიგი უგულავა გამოუშვეს ციხიდან.

***– რა კავშირშია ეს ყველაფერი ერთმანეთთან?***

– ეს ერთიანი ჯაჭვია და ეს ჯაჭვი სწორედ მაშინ შედგა.

***– და ამ პროცესებში მონაწილეობდა გიორგი გახარია?***

– აი ამ ყველაფერში ფიგურირებდა გახარია, ოღონდ როგორც ზედამხედველი. ბიზნესებს და ფინანსებს როცა ეხება საქმე, ეკონომიკის მინისტრი ყოველთვის საქმის კურსშია, ამიტომ ამ ამბებში მაშინ გახარიაც იყო ჩართული.

***– ძალიან ცუდი კამპანია დაიწყო ხელისუფლებამ და პირადად პრემიერმა ღარიბაშვილმა გახარიას წინააღმდეგ. თურმე ყველაფერი გახარიას ბრალია და ყველაფერში ისაა დამნაშავე. თურმე მოღალატეა, გამყიდველია და ბოლოს ლამის ნარკომანობაც დააბრალეს. თუკი ასეთი პრემიერ-მინისტრი ჰყავდათ, მანამდე სად იყვნენ? ეძინათ? რომ წამოვიდა „ოცნებიდან“, ახლა გახდა ეს ყველაფერი? რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უხერხულია ეს ყველაფერი.***

– ჩემთვის გახარიას არ უღალატია, არ უღალატია ამ ადამიანს საქართველოსთვის. მან უღალატა კონკრეტულ გუნდს და ის კონკრეტული გუნდი არქმევს ამ ადამიანს მოღალატის სახელს. პირადად ჩემთვის გახარია არის მოძალადე, არის კეზერაშვილთან და იაკობაშვილთან შეკრული ადამიანი, რომლის ლუსტრაციაც მინდა რომ მოვახდინო. მე ამ ადამიანს სხვა პრეტენზიას არ ვუყენებ. მე პრეტენზია კობახიძესთანაც მაქვს და ივანიშვილთანაც. ახლა რომ აჟღერებენ ამ ადამიანზე, რომ თურმე ნარკომანია, ისეთია და ასეთია, თქვე დალოცვილებო, ამდენი ხანი კაცი პრემიერი იყო და მაშინ ნარკომანს რატომ გვიჩერებდით პრემიერად?!

***– პოლიტიკა ძალიან ბინძურიაო, მაგრამ ყველაფერი არ უნდა იკადრო.***

– კი ბატონო, ასეა, თუმცა რაც ღიად ჩანს, იმაზე უნდა ვისაუბროთ. რატომ დაიშალა ბოკერიას პარტია? რატომ წამოვიდნენ იქიდან ყველაზე ცნობადი სახეები? იმიტომ, რომ მათ კეზერაშვილმა შეუწყვიტა ფინანსური დახმარება, იმიტომ შეუწყვიტა, რომ ეს ფინანსები გახარიასკენ მიმართა.

### „ივანიშვილის სურვილიცაა, სააკაშვილი ჩამოვიდეს“

***– და დღეს გახარია თავის საარჩევნო კამპანიაში იაკობაშვილის ფინანსებს ხარჯავს?***

– კი, ასეა, კეზერაშვილის საშუალებით, იაკობაშვილი აფინანსებს გახარიას და ამ სამეულის ჯაჭვი არსებობს. იაკობაშვილი კი სერიოზული საფრთხეა ივანიშვილისთვის, რადგან მას სურს, რომ ივანიშვილი თუ არ გადაყლაპოს, სერიოზული ბრძოლა მაინც გამოუცხადოს. ამიტომ სისულელეა იმაზე საუბარი, რომ გახარია ივანიშვილის თამაშია, ეს ასე ვერ იქნება ვერასდროს. სწორედ ამიტომ, ივანიშვილს აქვს დიდი ინტერესი, რომ სააკაშვილი ჩამოვიდეს საქართველოში და კვლავ ორპოლუსიანობა შეიქმნას და რამენაირად ამოვარდეს ამ პროცესიდან გახარია.

***– ანუ, ოღონდ გახარია არა და „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის თამადობით, იმისთვისაც კი მზადაა, რომ მიშა სააკაშვილი საქართველოში ჩამოვიდეს?***

– კი, ასეა და ეს სააკაშვილის ინტერესებშიც შედის. თუ სააკაშვილმა თავის პარტია არ გახადა აქტუალური, არ ჩამოვიდა საქართველოში და თავი არ დააჭერინა, ჩათვალეთ, რომ შემდეგ არჩევნებში, რომელიც დარწმუნებული ვარ რიგგარეშე იქნება, მეორე ადგილს დაიკავებს გახარია. ეს კი ნაცმოძრაობას არ უნდა, კარგავენ მთავარი ოპოზიციის სტატუსს. ჩემი აზრით, სააკაშვილს რაღაცა დონის შეთანხმება აქვს ბიძინა ივანიშვილთან. ასევე, ევროპარლამენტარებიდანაც ელოდება გარკვეულ გარანტიებს და რომ დაჭერის შემთხვევაში მას ძალიან მალე გაათავისუფლებენ. იგივე სცენარი იგეგმება, რაც უკრაინაში მოხდა.

***– თუმცა უკვე ნაკლებად სჯერათ საქართველოში მიშას ჩამოსვლის, ის ყველა არჩევნების წინ მოდის.***

– ახლა სხვა მოცემულობაა. ამიტომ მე ეს განცხადება სერიოზულად მივიღე.

***– გამოვიდა ინფორმაცია, რომ ევროპა აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან, რათა მან სააკაშვილი შეიწყალოსო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მაშინ ეს ინფორმაციაც სარწმუნო უნდა იყოს. განუდგება „ოცნებას“ ზურაბიშვილი?***



– სალომე ზურაბიშვილი, სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტი არ არის, ეს ქალბატონი წარმოადგენს დღესდღეობით ევროკავშირის ოფიციალურ წილს საქართველოს მთავრობაში. ის საქართველოს ინტერესების გამტარებელი არ არის, ის ევროკავშირის დავალებების შემსრულებელია. სააკაშვილი თუ ჩამოვა, ეს ბიძინა ივანიშვილსაც უნდა აწყობდეს და იმიტომ ჩამოვა. თუ მიშა არ ჩამოვა, ნაცმოძრაობა თავის ელექტორატს დაკარგავს და ეს ელექტორატი წავა გახარიას ჯიბეში. გახარიას ჯიბეში რომ წავიდეს, ეს არც მიშას ინტერესებშია და, მით უმეტეს, არც ბიძინა ივანიშვილის.

***– ლადო, ანუ გახარიას გაძლიერებას, ჯობია, რომ მიშა სააკაშვილი გაძლიერდეს? ნუთუ ასეთი საფრთხეა გახარია? ცოტა უცნაურია ეს ყველაფერი.***

– როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილი ამ ტალღაზეა და ასე ხედავს ამ ყველაფერს. რა ხდება ბიძინას თავში, არ ვიცი. ფაქტია, გახარია საფრთხეა ამ ხელისუფლებისთვის, ხომ ხედავთ, რა კომპრომატების ომი დაიწყო.

***– ელოდებით, რომ უფრო მეტი კომპრომატების ფრიალი წამოვა?***

– დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნება. თუნდაც ეს ნარკოტესტი, რაც კალაძემ გააკეთა.

***– ეს იყო სპეციალურად, გახარიას გაუჩალიჩესო, ასეა?***

– რა თქმა უნდა. მანამდეც იყო კალაძე მერი და იმის წინ კიდევ მინისტრი, მანამდე ასეთი რამ არ გაუკეთებია. წესით, ადრეც უნდა გაეკეთებინა და ზოგადად ყველა პარლამენტარი უნდა აბარებდეს. აბა, თუ მაგარი ბიჭები არიან, ჩააბარონ ნარკოტესტი. მე მარიხუანაზე კი არ მაქვს საუბარი, აქ სერიოზულ ნარკოტიკებზეა საუბარი, კოკაინებსა და ჰეროინებზე. აი არჩევნებამდე დაახლოებით ათი დღე რომ დარჩება, მერე ნახეთ თქვენ კომპრომატების ცვენა. კიდევ ერთ ნიუანსს მინდა მივაქციოთ ყურადღება. რატომ თქვა ირაკლი კობახიძემ, რომ ბიძინა ივანიშვილი გროსმაისტერია და რამდენიმე სვლას წინასწარ საზღვრავსო.

***– ამით საით მიანიშნა?***

– ყველაზე მეტად გახარიას მერობის კან-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# როგორ აისახება საქართველოზე კავკასიაში შექმნილი სიტუაცია?

## ბაქო რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის უფლებამოვალეობების განსაზღვრას მოითხოვს

მარიამ მჭედლიშვილი

სომხეთის პრემიერის ნიკოლ პაშინიანის ოფიციალურმა ვიზიტმა საქართველოში ყველას შეახსენა, რომ კავკასიის რეგიონში სიტუაცია ჯერ კიდევ დაულაგებელი და გაურკვეველია, ეკონომიკური პერსპექტივები კი – მრავალფეროვანი.

პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, „ჩვენი საერთო ხედვა უნდა იყოს ის, რომ ჩვენი რეგიონი გარდავქმნათ ახალი შესაძლებლობების, განვითარებისა და შესაძლებლობების რეგიონად“.

რეგიონში კომუნიკაციების აღდგენასა და გახსნაზე, მთიან ყარაბაღში შექმნილი ახალი რეალობის შემდეგ სომხეთის გარდა, აქტიურად საუბრობენ თურქეთი, ირანი, რუსეთი და აზერბაიჯანი.

პროცესში ჩართვა ისურვა ოკუპირებულმა აფხაზეთმაც. რამდენიმე თვის წინ სოხუმმა შესაბამისი თხოვნით მიმართა რუსეთის სახელმწიფო დუმას და სხვა სტრუქტურებს. ამ კონტექსტში ოკუპირებული რეგიონი თბილისთან თანამშრომლობისთვისაც მზადაა.

მთიანი ყარაბაღის გარშემო გაფორმებული სამმხრივი (სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი) შეთანხმებების შემდეგ რეგიონში ექვსთა კავშირზე ალაპარაკდნენ. მასში თურქეთის, რუსეთის, ირანის, სომხეთისა და აზერბაიჯანის გარდა, საქართველოსაც მოიაზრებენ. ოფიციალურმა თბილისმა ამგვარ კავშირზე უარი თქვა. ამბობენ, რომ კულუარებში საქართველოზე ზეწოლა მიმდინარეობს ამ კავშირში შესვლაზე.

ეკონომიკური კომუნიკაციები განსაკუთრებით სომხეთს აღელვებს. ერევანს აინტერესებს სარკინიგზო მიმოსვლა ირანთან და რუსეთთან. ერევანი ანკარასთან დასალაპარაკებლადაც მზადყოფნას აცხადებს.



თურქეთის საზღვარი სომხეთისთვის დაბლოკილია 1993 წლიდან. მისი გახსნის პირობად ანკარა ასახელებდა მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანისათვის გადაცემას (აზერბაიჯანმა ყარაბაღი უკვე დაიბრუნა) და გენოციდის საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნას.

თუ სომხეთი და თურქეთი შეთანხმდნენ და დათმეს, ერევანსა და ანკარას შორის დიალოგი გარდაუვალია.

როგორც ცნობილია, ყარაბაღის მოვლენების შემდეგ მთიან ყარაბაღში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი ჩადგა.

ბაქო რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის უფლებამოვალეობების განსაზღვრას და დაზუსტებას მოითხოვს. ამის თაობაზე აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებები დაწყებულია.

გარდა ამისა, ამ ტერიტორიის მიმდებარედ განლაგდნენ თურქი მონიტორები.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგიჩაიშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებამ“ იცოდეს, დასავლეთის იმედგაცრუებები უკვალოდ ვერ ჩაივლის“

## ლევან ალაფიშვილი: „თანამედროვე დემოკრატიაში უპირობო წესია, როდესაც შენს პარტნიორ სახელმწიფოებს აძლევ პირობას, ის უნდა შეასრულო“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო ლევან, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვებენ, მაგრამ 1%-იც რომ აიღონ, ვადამდელი არჩევნები არ იქნება. დაუშვათ ვერ აიღეს 43%, მაშინ რა ხდება?***

— სამართლებრივად არც არაფერი არ მოხდება. „ქართული ოცნების“ ლიდერები ამ შემთხვევაში სამართლებრივად სიმართლეს ამბობენ. მოქმედი კონსტიტუციით განსაზღვრულია რა შემთხვევაში ინიშნება ქვეყანაში რიგგარეშე არჩევნები. მკითხველს შევახსენებ, რომ პირველ რიგში თუ სახეზე იქნება სახელისუფლო კრიზისი მთავრობასა და პარლამენტს შორის, როდესაც პარლამენტი უუნაროა მთავრობა შექმნას, აი, სწორედ მაშინ ინიშნება ვადამდელი, რიგგარეშე არჩევნები. ეს მოცემულობა, რასაკვირველია, სრულიად შესაძლებელია ობიექტურად შეიქმნას და ასევე შესაძლებელია ხელოვნურადაც შექმნას პოლიტიკურმა სპექტრმა.

„ქართული ოცნება“ აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თანახმანი ვიყავით მიშელის დოკუმენტის ფარგლებიდან გამომდინარე ხელოვნურად შეგვექმნა ეს მოცემულობა, ახლა უარს ვამბობთ ხელოვნურ კრიზისზე და გავდივართ ამ შეთანხმებიდან. ასეთია ამ დათქმის სამართლებრივი ნაწილი.

***— რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს?***

— აქ, მთლად ასე მარტივად არ დგას საკითხი. უკვე ჩვენი ევროპელი და ამერიკელი პარტნიორები ითვლიან მერამდენე იმედგაცრუებაა. ალბათ, რთული წარმოსადგენი არ იქნება, რა შეიძლება იყოს შემდეგი. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ნეგატიურად აისახება ჩვენს სახელმწიფოზე. „ქართულ ოცნებას“ არ უნდა დაავიწყდეს, რომ ეს ნეგატივი მათ გვერდს ვერ აუვლის თუ პირდაპირ არ შეეხებათ კიდეც. ხელისუფლებას ამ ყველაფერზე საკმაოდ მძიმე პასუხისგება მოუწევს როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო საზოგადოების წინაშე. დასავლეთის იმედგაცრუებები ასე უკვალოდ ვერ ჩაივლის. ამის იმედი ნუ ექნება „ქართულ ოცნებას“. თანამედროვე დემოკრატიის უპირობო წესია, როდესაც შენს პარტნიორ სახელმწიფოებს აძლევ პირობას, ის უნდა შეასრულო. ასე მუშაობს დემოკრატია.



***— თქვენ მძიმე პასუხისმგებლობაზე საუბრობთ. თუმცა, ვხედავთ, რომ ევროკავშირი მხოლოდ განცხადების დონეზე შემოიფარგლება. რას უკავშირებთ ამას?***

— სწორედ ასე ცდილობს „ქართული ოცნებაც“ საკითხის დასმას და შემდეგ ამით მანიპულირებას. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები საკმაოდ ფრთხილობენ. ისინი ამბობენ, რომ მათი ინტერესის სფერო არის საქართველო და ქართველი ხალხი და არა „ქართული ოცნება“. სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ სარგებლობს იმით, რომ დასავლეთი ხისტად არ პასუხობს მათ.

ეს მოცემულობა თუ გაგრძელდება, არც სანქციები დააყოვნებს „ქართული ოცნების“ ლიდერების მიმართ. სანქციებამდე არ უნდა მიიყვანონ საქმე, თორემ დასავლეთს სანქციების ძალიან ფართო სპექტრი, დიდი პალიტრა აქვს ისეთი ქვეყნების მიმართ, როგორიც საქართველოა. ფინანსური სანქციები, გადაადგილების შეზღუდვის სანქცია და ა.შ. ეს არ უნდა დაავიწყდეს მმართველ პოლიტიკურ ძალას. ძალიან ბევრი რამ აქვთ დასაკარგი. ამიტომ, პირველ რიგში ხალხის სამსჯავროსი უნდა ეშინოდეთ. სანქციებმა, რომელმაც შეიძლება ძალიან მძიმე გავლენა იქონიოს და დაამძიმოს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური თუ საერთაშორისო ურთიერთობები, მერწმუნეთ ხალხისგან საკმაოდ მძიმე რეაქციას გამოიწვევს. ამ პირობებში ნებისმიერი ხისტი გადაწყვეტილება დააზარალებს ქვეყანას, მის იმიჯს.

***— ოპოზიციის როლი და ფუნქცია როგორ წარმოგიდგენიათ თუ მართლაც ვერ გადალახა ხელისუფლებამ 43%?***

— 2 ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნების შედეგი, ისევე, როგორც ნებისმიერი არჩევნების შედეგი, გავლენას ახდენს შემდეგი პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე. პირველ რიგში 2 ოქტომბრის შედეგები გამოავლენს: „ქართულ ოცნებას“ აქვს თუ არა იმავე ძალის მხარდაჭერა და ლეგიტიმაცია და მეორე, ეს იქნება ტესტი, გაძლიერდა თუ შესუსტდა საზოგადოებაში ოპოზიციური განწყობები.

ამ მოცემულობაში გამოიკვეთება, თუ როგორი ტენდენციით შეიძლება გამოიკვეთოს ქვეყნის მომავალი, მისი განვითარება. უნდა ვინმეს თუ არ უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში, დემოკრატიის მარტივი ჭეშმარიტებაა – ლეგიტიმაციის შემცირება გავლენას ახდენს მმართველი პოლიტიკური ძალის თავისუფლების ხარისხზე, მის გავლენაზე. გადაწყვეტილებების მიღების დროს ის ისეთივე თამამი და თავისუფალი ველარ არის. ამავე დროს, რასაკვირველია, დასავლეთის მხრიდან წნეხი გაიზრდება, თუკი ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატი უფრო მეტად იქნება მობილიზებული, ვიდრე ეს საპარლამენტო არჩევნების დროს იყო. შეიძლება ამას ორმაგი წნეხი ვუწოდოთ. მმართველი პოლიტიკური ძალის შემცირება და ოპოზიციის გაზრდა, რა თქმა უნდა, გავლენას იქონიებს პოლიტიკურ მოცემულობაზე. რა ვადაში, ვერ გეტყვით, მაგრამ ეს თავისთავად შექმნის კრიზისს, როდესაც დაბალი ლეგიტიმაციის პირობებში მმართველი პოლიტიკური ძალა ვერ მიიღებს ამა თუ იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. ამ დროს კი რიგგარეშე არჩევნები გარდაუვლად დგება დღის წესრიგში.

# შალვა შავგულიძე: „ოცნება“ რომ ქუჩას ეყრდნობა, ამის საილუსტრაციოდ კორცხელიც კმარა“

იაგო ნაცვლიშვილი

ავსტრალიის მოქალაქის შანაი ბრუკის მკვლელობისთვის შსს-მ რაფაელ მურსაკულოვი დააკავა. როგორც ირკვევა ბრალდებული „ქართული ოცნების“ აქტივისტია, თუმცა აღშფოთება გამოიწვია სხვა ფაქტმა – მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის ძალადობაში ადრეც იყო შემჩნეული, თუმცა შსს-მ არასათანადო რეაგირება მოახდინა. „ოცნების“ დეპუტატი გივი მიქანაძე კი აცხადებს, რომ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციით, ბრალდებული წარსულში „ნაცმოძრაობის“ აქტივისტიც იყო.

რასთან გვაქვს საქმე და როგორ უნდა გავიგოთ „ოცნებაში“ გაკეთებული განცხადებები? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტის წევრი **შალვა შავგულიძე** საუბრობს.



***— შანაი ბრუკის მკვლელობაში ბრალდებულ პირზე დისკუსიაა ატეხილი. კერძოდ იმაზე, რომ ის წარმოადგენს „ქართულ ოცნებას“ და რომ ის ადრეც იყო ბრალდებული სხვა საქმეში, მაგრამ პასუხისმგებლობა არ დააკისრეს. თქვენი შეფასება როგორია?***

— რომ გითხრათ, რაღაც ძალიან მნიშვნელოვან ფაქტთან გვაქვს საქმე-მეთქი, არ ვიქნები მართალი. მედიიდან რა ინფორმაციაც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, გასაგებია, რომ ეს ადამიანი, რომელიც მკვლელობაშია ბრალდებული, „ქართული ოცნების“ მთაწმინდის შტაბის აქტივისტი იყო. საუბარი, რომ როგორ მოხდა, მმართველი ძალის აქტივისტმა ეს ჩაიდინა, არასწორია. შესაძლოა მოხდეს ისე, რომ ვერ გადაამოწმოს ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ, რას ჩაიდენს მისი აქტივისტი მომავალში, მაგრამ გამოვიდა ისეთი ინფორმაცია, თითქოს ადრეც იყო შემჩნეული რაღაც ძალადობრივ დანაშაულებრივ ქმედებაში და თითქოს მაშინ არ მოხდა რეაგირება. აქ ჩნდება კითხვის ნიშნები, თუ ეს მართლა ასე იყო, რატომ არ მოხდა რეაგირება თუ უშუალოდ დაზარალებული თუ თვითმხილველი ადებდა მას ხელს. ჩნდება ეჭვი, ეს იმის გამო ხომ არ მოხდა, რადგანაც ის იყო „ოცნებასთან“ დაახლოებული პირი და აქტივისტი.

თუ ასეთი ფაქტი დადასტურდა, მაშინ ამ მკვლელობაზე პასუხისმგებლობის გარკვეულ ნაწილს გაიზიარებს „ქართული ოცნება“. თუ მათ ხელი დააფარეს ძალადობისკენ მიდრეკილ ადამიანს ძალადობასთან დაკავშირებულ ერთ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით. მაშინ რეაგირება სათანადო რომ ყოფილიყო, იქნებ ეს ტრაგიკული შემთხვევა აღარ მომხდარიყო.

თუმცა, მანამდე ბევრი რამეა გასარკვევი, მართალია თუ არა ეს ინფორმაცია და საერთოდ დაუდასტურდება თუ არა ეს დანაშაული ამ ადამიანს, მოდით წინასწარ ნუ გამოვაცხადებთ დამნაშავედ.

***— კი ბატონო. დავიცვათ უდანაშაულობის პრეზუმპცია, მაგრამ „ოცნების“ მოქმედება რამდენად სწორია ამ თემასთან მიმართებით?***

— საერთოდ „ქართული ოცნება“ ასეთ კრიმინალურ ელემენტებს და ქუჩის გავლენას რომ ეყრდნობა და ამით უნდათ ხელისუფლების შენარჩუნება, ეს ცხადზე ცხადია და ეს შემთხვევა, მე მგონი, საჭირო არ იყო ამის დასანახად. ამის მაგალითები გვაქვს პრაქტიკულად „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან. კორცხელის მაგალითი გვაქვს, სადაც დარაზმულად მოხდა კუნთმაგარი ბიჭების, რომლებიც დაგეშილი ძაღლებივით მიუშვეს პოლიტიკურ ოპონენტებზე და შემდეგ არათუ არ დასაჯეს, არამედ საზღვარგარეთ მივლინებებით დააჯილდოვეს და ნებისმიერი არჩევნების დროს როგორ იყენებენ კრიმინალურ ელემენტებს, ვხედავთ.

***— „ოცნებაში“ თქვეს, რომ აი ჩვენ დავიჭირეთ და ხელი კი არ დავაფარეთო და ვახტანგ გომელაურმა დაიჭირა, იმის მიუხედავად, რა პოლიტიკური გემოვნება აქვსო. ეს განცხადება მენიშნა. აღიარება ხომ არაა იმის, რომ მათი სურვილების მიხედვით იმართება სახელმწიფო?***

— ძალიან სწორი შენიშვნაა ჟურნალისტის მხრიდან. იმდენად აღრეული აქვს „ოცნებას“ პარტია და სახელმწიფო, რომ იქ რაც უნდა გააკეთოს სამართალდამცავმა ორგანოებმა და დამოუკიდებლად, ყოველგვარი მითითებების გარეშე... ამის ნაცვლად მათ მიაჩნიათ, რომ თავად დაიჭირეს და თავად განახორციელეს ეს. ეს მიუთითებს, რომ ამ პოლიტიკურ ძალას სახელმწიფოებრივი ხედვაც არ აქვს სხვა „სიკეთეებთან“ ერთად. როგორ შეიძლება ამაზე საუბარი, რომ ჩვენ დავიჭირეთ და ა. შ. ზუსტად ეს არის, რომ სამართლებრივი სახელმწიფო არ ესმით, წარმოდგენა არ აქვთ ამის. გარდა იმისა, რომ არ სჭირდებათ, არც კი იციან, რომ არ იხმარონ მაინც, რაც პირდაპირ აღიარებას ნიშნავს, რომ სამართლებრივი სახელმწიფო არ უნდათ. მიაჩნიათ, რომ პოლიციაც თვითონ არიან, სასამართლოც და ვისაც უნდა დაიჭერენ და ვისაც უნდათ არ დაიჭერენ. ასეთი ხელისუფლება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩამოცილდეს მართვას. სულ კეთილგანწყობილებიც რომ იყვნენ, არაკვალიფიციურობის გამოც დაღუპავენ ქვეყანას და ამავდროულად ჩვენ ვხედავთ, რომ მათი განწყობები არის ჩრდილოეთისკენ, რაც ამ ქვეყნის ღალატია.

***— „ნაცმოძრაობაზე“ გადაბრალება აქაც ხომ არ არის? გივი მიქანაძემ თქვა, რომ ბრალდებული პირი ადრე „ნაცმოძრაობის“ აქტივისტი იყოო. ეს განცხადება როგორ უნდა გავიგოთ?***

— მოდით, თითოეული ფრაზის კომენტირებას არ შევუდგები. თავისთავად ის ფაქტი, რომ რომელიმე ძალის აქტივისტმა ჩაიდინა დანაშაული, ასე პირდაპირ ვერ დაადანაშაულებ ამა თუ იმ პარტიას, რომ შენ ხარ დამნაშავეო. არ არის ასე.

***— რატომ გადადის ყველაფერი პოლიტიკურ კონტექსტში?***

— გადადის. იმიტომ, რომ მეტი არაფერი შეუძლიათ გარდა რაღაცების მოგონებისა და დაბრალებისა. სამწუხაროდ, ძალიან შეზღუდულია მათი ფანტაზია. წავლენ და წამოვლენ და ყველაფერს ოპოზიციას აბრალებენ.

ეგ კი არა, 2 დღის წინ საკონსტიტუციო განხილვა იყო და 2 დღე მმართველი პარტია გაიძახოდა, თურმე 1 პოლიტიკური პარტია რომ ირჩევს გენერალურ პროკურორს, ეს ნიშნავს ნაკლებ პოლიტიზირებას და თუ ბევრი აირჩევს, ბევრის არჩევა უფრო მეტი პოლიტიზირება არ იქნებაო?! ასეთი დემაგოგიურია მათი მსჯელობა. არგუმენტს ვერ ვისმენთო თქვეს და არგუმენტები მოვუყვანეთ – მიშელის მიერ იყო შემოთავაზებული, რომ თუ კვორუმი მაღალი იქნება და პარლამენტში წარმოდგენილი ფართო პოლიტიკური სპექტრის თანხმობა იქნება საჭირო გენპროკურორის არჩევისთვის, ეს შეამცირებს პოლიტიზაციის ხარისხს და სანდოობას გაზრდისო. გარდა ამისა, იგივე მოწოდება იყო ვენეციის კომისიის ბოლო 4 დასკვნაში პროკურატურასთან დაკავშირებით და პლენარულ სხდომაზე ციტირება მოვუყვანე პარაგრაფებით, ჯერ 2015 წლის დასკვნის, მერე 2017 წლის დასკვნის და ბოლოს 2018 წლის დასკვნის. მაინც იძახდნენ, ვერ მოვისმინეთ ვერც ერთი არგუმენტიო.

როდესაც ევროპის საბჭოს შემუშავებული დასკვნა არ არის არგუმენტი და ვენეციის კომისიის წლების მანძილზე მკაფიო მითითება არგუმენტი არ არის, რაღაზე ვლაპარაკობთ. ამას ბატონი კობახიძე და „ოცნების“ სხვა წარმომადგენლები უწოდებენ სამართლებრივ აბსურდს და სისულელეს. თავს უფლებას აძლევენ და ასეთ შეურაცხმყოფელ ფრაზებს ხმარობენ. გამოდის, რომ ვენეციის კომისიის დასკვნა სამართლებრივი აბსურდი ყოფილა და კობახიძის და ალუდა ღუდუშაურის მოსაზრებები კი სამართლებრივი ჭეშმარიტება. ამათ აღარ უნდა ელაპარაკო ამის მერე და რაც შეიძლება ჩქარა გაწიო გვერდით.

# „რა თანხას სთხოვდა გახარია კალაძეს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დიდატად წარდგენა არ აწყობდა კალაძეს. კალაძეს გახარიასთვის ფული რომ მიეცა, გახარიას გააჩერებდა. ეს ვერსია გაჟღერდა, ამიტომ ვამბობ. მერიაში შეხვედრამდეც იყო კომუნიკაციები მათ შორის და ამას აღარავინ უარყოფს. ამ კომუნიკაციის მთავარი მიზანი იყო ფული. 300 ათას დოლარზე იყო საუბარი. ამ ფულის გადახდა არანაირი პრობლემა არ იყო „ოცნებისთვის“. თუმცა, როგორც მე მივხვდი, გუნდში მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება, რომ კალაძე გახარიას ამ ფულს არ მისცემდა. ეს გადაწყვეტილება კი, რა თქმა უნდა, ივანიშვილის მიღებულია. ანუ ივანიშვილს აწყობდა, რომ გახარია ყოფილიყო ამ არჩევნებზე კალაძის კონკურენტი.

***— ეს რა გათვლაა, რატომ აწყობდა?***

— იმიტომ აწყობდა, რომ ურჩი კალაძე, მეორე ტურის მიჯნაზე საბოლოოდ დაემორჩილებინა. ისევე, როგორც სალომე ზურაბიშვილი დაიმორჩილა მეორე ტურის წინ, სანამ თავად არ გააკეთა ბიძინამ მოწოდება, სანამ ხალხს ბანკის ვალები არ ჩამოაწერა, სალომე არჩევნებს აგებდა, მეორე ტურში კი ვნახეთ, რაც მოხდა. დაახლოებით იგივე სცენარს ველოდები ამ არჩევნებზე კალაძის ვარიანტში. კალაძე პირველ ტურში, რა თქმა უნდა, ვერ მოიგებს...

***— მეორე ტურში ვინ იქნება კალაძის მეტოქე, გახარია თუ მელია, როგორია თქვენი პროგნოზი?***

— ბიძინა ივანიშვილისთვის იდეალური ვარიანტია თუ გახარია გავა მეორე ტურში. ამ შემთხვევაში, კალაძე იძულებული იქნება, დასახმარებლად ივანიშვილს მიმართოს. აი სწორედ აქედან დაიწყება კალაძის დამორჩილება და ყურებით დაჭერა. მოკლედ, ძალიან საინტერესო შემოდგომა გველის. შესაძლოა სააკაშვილი ჩამოვიდეს, ნაცმოძრაობა რევოლუციურ სცენარს გეგმავს, იქ გახარიას აქვს შანსი, რომ მეორე ტურში გავიდეს, მოკლედ, ძალიან ირევა მონასტერი. აი ამ ყველაფერს თუ მართლა სათავისოდ შემოაბრუნებს და დასვამს ბიძინა ივანიშვილი, ის მართლა გროსმაისტერი ყოფილა.

# „სააკაშვილი რას მოიმოქმედებს, არავინ იცის“

## პეტრე მამრაძე: „მიშა დაბადებულია კინორეჟისორად, ის აზროვნებს არა სიტყვებით, არა ფრაზებით, არამედ სურათებით. მიშა ამბობდა, მთავარია ტელეეკრანზე რა „კარტინკას“ დადგამო“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.**



***– ბატონო პეტრე, წინასაარჩევნო კამპანიისას გამოჩნდა რეკლამა, სადაც მოუწოდებენ, ამომრჩეველმა ხმა მისცეს მესამე ძალას. თქვენ თუ ხედავთ მესამე ძალას ასპარეზზე, რომელიც პოლიტიკურ პროცესებზე გავლენას მოახდენს და პოლიტიკურ ამინდს შეცვლის?***

– ასეთ ძალას ნამდვილად ვერ ვხედავ. მათ ძალიან მარტივ ხრიკს მიმართეს, მაგრამ ეს ხრიკი არ იმუშავებს.

***– რატომ?***

– ჩვენი საზოგადოების, ძირითადად ინტელიგენციის ნაწილში არის მოთხოვნა, აზრი, რომ დროა გამოჩნდეს მესამე ძალა. ამიტომ ამათ სახელად მესამე ძალა დაირქვეს.

***– გათვლა რაზეა?***

– ამომრჩეველს ეუბნებიან, მესამე ძალა აგერ ჩვენ ვართო, ანუ გათვლაა, ამომრჩეველი ხელში ბიულეტენს რომ აიღებს, სახელწოდებებს რომ შეხედავს, ნახავს, აგერ „მესამე ძალა“ ყოფილა.

***– ამ ხრიკით ხმებს ვერ მიიღებენ? ბევრს უთქვამს, არ გვინდა ნაცები, არ გვინდა „ოცნებაო“.***

– ამით გავლენას მაინც ვერ მოახდენს. დღეს საქართველოში და უკვე ევროპის სხვა ქვეყნებში, პოლიტიკა უაღრესად პერსონიფიცირებულია.

***– პერსონები ხომ არიან, ძირითადად გრიგოლ და გიორგი ვაშაძეები?***

– ვაშაძეები ცნობადი ადამიანები არიან, მაგრამ ხალხისთვის ე.წ. პოზიტიური ქარიზმის მქონე ადამიანი იქ არავინაა, არც ვაშაძეები არიან ქარიზმატულები. ხალხისთვის ქარიზმის მქონე ადამიანი, რომელიც სინამდვილეში შეიძლება იყოს პოპულისტი, დემაგოგი, თაღლითი, ნაძირალაც კი, დამაჯერებელ, დადებით ქარიზმატულ ადამიანად გამოჩნდეს, სააკაშვილი ასეთი იყო. ვინც ახლოს ვიცნობდით, ვიცით. ჩემთვის ქარიზმატული კი არა, კლოუნი იყო, ძალიან სახიფათო კლოუნი, მაგრამ ქარიზმატული.

ვინც ცდილობს მესამე ძალა დაირქვას, ის ხალხის თვალში არც ერთ ქარიზმატულ ლიდერს არ უკავშირდება. მათთვის არც ერთი ვაშაძე ქარიზმატული არ არის. გაიხსენეთ, რამდენი პროცენტი დააგროვა უმცროსმა ვაშაძემ.

***– უფროს ვაშაძეს ხომ აქვს ძალიან დიდი გამოცდილება? თუნდაც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ განყოფილებას რომ ხელმძღვანელობდა.***

– ეს ადამიანებზე არ მუშაობს, თუ ადამიანს არ აქვს იმის თვისებები, მასებს მათთვის დამაჯერებლად და ისეთი მუხტით მიმართოს, რომელიც არჩევნებისთვის მასების მობილიზებას მოახდენს და საარჩევნო ყუთებამდე მიიყვანს, რომ მას ხმა მისცენ. სააკაშვილი ასეთი იყო. შემდეგ ივანიშვილმაც ასეთი როლი შეასრულა.

***– გრიგოლ ვაშაძე ნაცებიდან თავის ამომრჩეველს ვერ გადმოიყოლებს, ნაცმოძრაობის ლიდერი ხომ იყო?***

– ვაშაძეს თავისი ამომრჩეველი არასოდეს ჰყოლია, მაშინაც, როდესაც პრეზიდენტად იყრიდა კენჭს, ხმას აძლევდნენ მხოლოდ ისინი, ვინც ხმას აძლევდა სააკაშვილს. ასე აირჩიეს მარგველაშვილი პრეზიდენტად. არავინ იცნობდა, არავის უნდოდა, მაგრამ ივანიშვილმა თქვა, რომ მან წარადგინა და ეწყინებოდა თუ მარგველაშვილს ხმას არ მისცემდნენ, თუ 60%-ზე ნაკლებს არ აიღებდა. ხალხმა იხუვლა და ხმას მისცა მაშინ, როდესაც თვითონ მარგველაშვილს ნულოვანი რეიტინგი ჰქონდა.

2016 წელს, როცა ბოკერია გამოეყო ნაცების ფრაქციას, 22 ადამიანი წავიდა ბოკერიასთან, ყველა ცნობადმა ადამიანმა დატოვა ნაცმოძრაობის ფრაქცია და შექმნა პარტია „ევროპული საქართველო“, მხოლოდ 6 დარჩა გოცირიძესთან, მაგრამ შემდეგ არჩევნებში ყველამ ერთად პარლამენტში 5 ადგილი მიიღო. სააკაშვილმა, რომელმაც პირველ ნომრად დააყენა ბუბა კიკაბიძე, პარლამენტში 36 ადგილი აიღო.

სააკაშვილს ბუბა კიკაბიძის ნაცვლად, პირველ ნომრად სხვა რომ დაეყენებინა, მაინც იგივეს აიღებდა. ხალხი სიას კი არ უყურებს, ხმას სააკაშვილს აძლევს.

***– სამაგიეროდ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ვაშაძეებს პიარისთვის ფული აქვთ. მათ ვანო ჩხარტიშვილი აფინანსებს.***

– მაინც ვერ აიღებენ ხმებს. ჩხარტიშვილი აფინანსებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ივანიშვილის თანხმობა აქვს.

***– ისიც მითხრეს, ივანიშვილის თანხმობით ხდება მესამე ძალის დაფინანსებაო.***

– ანუ ეს მესამე ძალა შექმნილია, როგორც სპოილერი (ეს დამკვიდრებული ტერმინია პოლიტოლოგიაში). ეს არის კანდიდატურა, პიროვნება, ან პარტია, რომელიც იქმნება იმისთვის, რომ ცოტა ხმები მაინც წაიღოს და ამით ხელი შეუშალოს.

***– ამ შემთხვევაში ნაცებისაგან.***

– ამ შემთხვევაში, შეიძლება ნაცებისაგან წაიღოს, რადგან ის სპოილერის ფუნქციას შეასრულებს, როგორც ბოკერიამ შეასრულა სპოილერის ფუნქცია და სააკაშვილს 5 ადგილი წაართვა. ის 5 ადგილი რომ არ წაერთმია, ხმები სააკაშვილთან წავიდოდა.

ანუ ეს „მესამე ძალა“ არის სპოილერი. ეს ვიცი არა დოკუმენტურად, ცხადია, არამედ საქმეში უფრო ჩახედული ადამიანებისაგან. მიყვებიან, რომ უმცროსი ვაშაძე არის ვანო ჩხარტიშვილის დის სიძე, მიყვებოდნენ, რომ ის დამოკიდებულია აზარტულ თამაშებზე, კაზინოებზე და სულ ფულს აგებს. ის ყოველთვის შეასრულებს იმას, რასაც ეტყვიან. შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ესენი ხმებს ვერ აიღებენ. როგორც ბოკერიამ, ისე ვაშაძეებმა სპოილერის ფუნქცია შეასრულონ.

***– გახარიამ თავისი თავი თბილისის მერად დაასახელა. გახარია ნაცმოძრაობას და ე.წ. ოპოზიციას ხმებს თუ წაართმევს?***

– არა მგონია გახარიამ ოპოზიციას ხმები წაართვას, ნაცების ამომრჩეველს გახარიას მიმართ რა სიმპათია უნდა ჰქონდეს. სააკაშვილის ხმები ძირითადად მიდის ნაცებთან, ბოკერიასთან, გიორგი ვაშაძესთან, რადგან ნაცებში გამოჩნდა ჯგუფი ადამიანებისა (მე ამის მოწმე ვარ), რომელიც ამბობდა, სააკაშვილი პოლიტიკაში ველარ დაბრუნდება, მორჩენილი ამბავიაო. კიევში რომ დაბოდიალობდა სახურავებზე, ხელი ჩაიქნიეს.

ამბობდნენ: გიორგი ვაშაძე ენერგიული კაცი ჩანსო. ამიტომ შეიძლება გაწბილებულმა ყოფილმა ნაცებმა ხმა მისცენ ვაშაძეს და ბოკერიას. გაწბილებული ნაცები გახარიას ხმას არ მისცემენ.



***– ახლახან სააკაშვილმა გახარიაზე რბილ ფორმებში ისაუბრა. „ოცნება“ ამბობს, გახარია აშკარად ასოცირდება ნაცებთან და სააკაშვილთანო. ეს გავლენას არ მოახდენს ნაცებზე გულაყრილ ხალხზე და ხმას არ მისცემენ?***

– არა. გახარიას ხმას მისცემენ ისინი, ვინც ხელი ჩაიქნია „ოცნებაზე“ და ფიქრობენ: ვერ გაამართლა, კორუფციაში არიან ჩათრეულები და მართლა გამოსაცვლელები არიან. ყველაზე კარგი პრემიერი გახარია იყო, მუშაობა იცის გერმანიაში და აქაც თავისით მიაღწია ყველაფერს, დარბაისელი კაცია, სხვებთან შედარებით პატარა ბიჭივით არ იქცევაო. წარმოიდგინეთ, გახარია ჭიკაიძეზე იტყოდა, როგორც ღარიბაშვილმა თქვა, ჭიკაიძე ძალიან პერსპექტიული ადამიანია და სწრაფად იზრდებაო?!

***– სამაგიეროდ, გახარიაზე დამკვიდრდა ფრაზა: მელიას გადასარჩენად გადამდგარი პრემიერი.***

– ვისაც ეს უხარია, ის მელიას მისცემს ხმას და არა გახარიას. პრეფერენციები რომ იყოს, როგორც 1992 წლის არჩევნებზე, როცა ხალხს შეეძლო სამი პარტია შემოეხაზა და დაეწერა: პირველი, მეორე, მესამე.

მაშინ მწვანეებმა ბევრი ხმა იმიტომ ავიღეთ, რომ ამომრჩეველმა შემოგვიხაზა მეორე, ან მესამე. მეორე-მესამე ადგილებით ჩვენ ედპ-ს ტოლი პარტია გავხდით.

***– ყველა არჩევნებზე, მიუხედავად იმისა, ივანიშვილი წასულია თუ არა პოლიტიკიდან, ოპონენტების მხრიდან დარტყმები მაინც მასზე ხორციელდება. ახლა რაღაც ძველი ჩანაწერი გამოაჩინეს. კიდევ თუ ელოდებით მსგავს ჩანაწერებს, ან ურთიერთკომპრომატებს?***

– რა თქმა უნდა. ეს უკვე ქართული, ე.წ. პოლიტიკის ნაწილი გახდა. ყოველთვის კომპრომატების გამოყენებას ცდილობენ. ამიტომ გამორიცხული არაფერია. შეიძლება სულაც შეთითხნილი მასალა გამოაქვეყნონ.

***– „ოცნება“ ამბობს, სისულელე გამოაქვეყნეს და ივანიშვილს ამით ვერაფერს ავნებენო.***

– ხალხი ასეთ რაღაცებს აღარ უყურებს და ვითომ კომპრომატები გავლენას არ ახდენს. ამდენი ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ, რეალურად, ინტერესი გაქრა. შეიძლება ცალკეულ ადამიანებს აინტერესებთ, მაგრამ რაც უნდა გადაიღო და აჩვენო, განწყობაზე არ მოქმედებს.

***– როგორ ფიქრობთ, ხალხი პროგრამებით დაინტერესდება?***

– პროგრამებით – არა. ხალხი შეიძლება ლაკონიური და მკვეთი ლოზუნგით დაინტერესდეს. სააკაშვილის საარჩევნო კამპანია 2003 წლის შემოდგომაზე იყო უზადო. პუნქტები ერთმანეთს მიჰყვებოდა. თქვეს, პენსიების დავალიანებას უმოკლეს დროში გადაგიხდითო და შეასრულეს. გლეხობას შეპირდნენ, მიწის საკითხს მოგიგვარებთო და გააკეთეს. თვითდასაქმებულებს, საერთოდ, ყოველგვარი გადასახადისაგან გაგათავისუფლებთო და ესეც გააკეთეს. 4-5 პუნქტი ჰქონდა სააკაშვილს ისეთი, მოსახლეობის გარკვეული ფენისთვის პირდაპირი გზავნილი იყო.

***– შესრულებადი გზავნილები გაუშვეს და გააკეთეს, მერე კი აურიეს.***

– მთავარია ხალხმა დაიჯეროს. სააკაშვილი ამას ისე ამბობდა, როგორც ადოლფ ჰიტლერი ეუბნებოდა გერმანელ ერს, ახლა 1000 წელი იარსებებს ჩვენი რაიხი, ყველაფერი ჩვენი იქნება, მიწა და ყველაფერი – თქვენი მოსავალი თქვენი იქნება, ამისთვის მე ყველაფერს ვაკეთებო. დაიჯერეს და 7 მილიონი კაცი დაიხოცა.

სააკაშვილმა პირველ წელს ბევრი რამ მართლა შეასრულა. ძალიან კონკრეტულ ლოზუნგებს ისე ამბობდა, ადამიანებზე მოქმედებდა. ოღონდ, ასეთი ლოზუნგები ისეთმა პიროვნებამ უნდა თქვას, დამაჯერებელი იყოს. ივანიშვილის მხრიდან ვიღაც რომ გამოვიდეს და თქვას, 250 საწარმო შევქმენით, კიდევ ამდენს შევქმნითო. ღარიბაშვილმა რომ თქვას, საქართველო ლუქსემბურგი გახდებაო (ლუქსემბურგი არის უმდიდრესი სახელმწიფო მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის რაოდენობით), ეს არ იმოქმედებს, ცხადია.

რაღაც კონკრეტული რომ მოიფიქრონ (თან გააჩნია ვინ იტყვის), შეიძლება იმოქმედოს. პროგრამების წაკითხვას არავინ შეუდგება.

***– სააკაშვილმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ჩამოსვლას გეგმავს. სააკაშვილის ჩამოსვლა წარმოგიდგენიათ?***

– სააკაშვილის ჩამოსვლა რეალურად ვერ წარმომიდგენია, მაგრამ ვინაიდან მას ახლოს ვიცნობ, ვინაიდან პრეცედენტია, რომ შეიძლება რაღაც ჩაიდინოს, ამიტომ არავინ იცის, სააკაშვილი რას მოიმოქმედებს. სააკაშვილი იმიტომ იყო დამაჯერებელი მასებისთვის დიდხანს, რომ იმ მომენტში, როცა ამბობს, ეჭვიც არ ეპარება, რომ იმის გამკეთებელია.

***– შეიძლება ვთქვათ, რომ მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოში გამოემგზავროს?***

– ადამიანებს არ ესმით, რომ ხილვები აქვს. ამას რომ ყვება, სწამს, რომ ასე იყო. თუ თვითონ იწამა, თავშიც ხომ ჩაუჯდა. სწამს, რომ ვითარება ისე მომწიფდა თბილისში, რომ ჩამოვა (აეროპორტიდან იქნება თუ სარფიდან) 300-400 ათასი კაცი შეხვდება მიშა-მიშას ძახილით, პირდაპირ წაიყვანენ, ვთქვათ, თბილისის აეროპორტიდან, ეს 400 ათასი კაცი დაიძვრება მანქანებით, სამეგრელოდან, კახეთიდან, გურიიდან მოდიან და პირდაპირ მიაბრძანებენ პრეზიდენტის სასახლეში, ირგვლივ ყველაფერი პარალიზებულია. აკი თქვა, მე ქართველი ხალხი გამათავისუფლებსო.

აღარც პოლიციაა ხელისუფლების მხარეს, ეს თუ იწამა, სულ რომ არაფერი იყოს, პროკურატურაც რომ დახვდეს აეროპორტში, შეიძლება ჩამოვიდეს. ეს რომ იწამოს, ამის ალბათობა ძალიან მცირეა. ამიტომ მე პრაქტიკულად გამოვრიცხავ, რომ ამის გამკეთებელია.

ასე იწამა 2008 წელს. 2007 წლის დეკემბერში იწამა ცხინვალთან დაკავშირებით. ამბობდა, კრემლმა მითხრა, ჩვენ ცხინვალი არ გვაინტერესებსო. მერე ბუშთან თქვა ამერიკაში, რუსი აქეთ არ წამოვა, როკის გვირაბი რომ დაიკეტება, ველარ გაბედავენო.

***– როკის გვირაბი რომ არ დაკეტეს და ისე დაიწყეს მოქმედება?***

– ეს სისულელე იწამა.

***– ისე კარგად დახატეთ რევოლუციური სიტუაცია (როგორ ჩამოდის სააკაშვილი და 400 ათასი კაცი როგორ ხვდება), როგორც სააკაშვილს გაუხარდებოდა. ეს სააკაშვილმა რომ წაიკითხოს, ალბათ, სიხარულით გადაირევა, იფიქრებს კარგი სცენარიაო.***

– ერთხელ ელდარ შენგელაიამ ძალიან კარგად თქვა: (მიშას ახლოს იცნობს) მიშა დაბადებულია კინორეჟისორად, ის აზროვნებს არა სიტყვებით, არა ფრაზებით, არამედ სურათებით. მიშა ამბობდა, მთავარია ტელეეკრანზე რა „კარტინკას“ დადგამო. „კარტინკების“ დადგმაში კი უაღრესად ნიჭიერი ადამიანია, სად რომელი ტრუპი უნდა იყოს და სად რომელი ლოზუნგი უნდა ეკიდოს, იმით აზროვნებს.

მიშას ახლოს ვიცნობ. 1992 წელს გავიცანი, როცა სულ ახალგაზრდა ბიჭი იყო და სულ ერთად ვიყავით. ამიტომ ვიცი. თვითონაც ამბობდა, მიტინგზე ლაპარაკს რომ ვიწყებ, კი არ ვიცი, რას ვიტყვი. ხალხის თვალებს რომ ვხედავ, ყოველი წყვილი თვალიდან ჩემთან დიდი ენერგია რომ მოდის, ვიმუხტები და მერე ვლაპარაკობო.

დღეები აქვს ნალაპარაკები. აღარავის აინტერესებს. თავისუფლების მოედანზე ახალგაზრდები რომ შეკრიბა და ლაპარაკი დაიწყო, დაიმუხტა და დაიმუხტა, თქვა, აბა, აფხაზეთში მივდივართო.

# როგორ აისახება საქართველოზე კავკასიაში შექმნილი სიტუაცია?

დასაწყისი მე-2 გვერდზე

კავკასიაში ომისშემდგომი დარეგულირება ევროკავშირსაც აინტერესებს. ორი დღის წინ ამ თემაზე რუსეთის პრეზიდენტ პუტინს ტელეფონით ესაუბრა ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი.

ექსპერტების შეფასებით, ევროკავშირს არ გააჩნია ერთიანი პოზიცია ამ მოვლენებისადმი – საფრანგეთი ღიად ემხრობა სომხეთს, გერმანია კი პრაგმატული მოსაზრებებით აზერბაიჯანთან თანამშრომლობას არჩევს.

სომხეთის ანალიტიკოსების ნაწილი დარწმუნებულია, რომ თურქეთი ვერ იქნება რუსეთის მოკავშირე, რადგან ის დასავლეთის ბანაკს წარმოადგენს.

– თურქეთი, რომელიც შარშანდელი ომის დროს არცახში (მთიანი ყარაბაღი) აზერბაიჯანთან ერთად მუშაობდა და უზრუნველყოფდა ალიევის გამარჯვებას, მოილაპარაკებს მოწინააღმდეგეებთან. რამდენი იარაღიც არ უნდა მიჰყიდოს თურქეთმა რუსეთსა და აზერბაიჯანს, როგორი საერთო ენაც არ უნდა გამონახოს არცახის საკითხში, ის არის რუსეთის მოწინააღმდეგე, დასავლური კოალიციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი – ამბობს ექსპერტი დემოიანი.

– ჩვენ იძულებული ვიყავით, აგვემოქმედებინა რუსეთ-თურქეთის მონიტორინგის ცენტრი. ეს ცენტრი დაშორებულია კონფლიქტის კერას. დაკვირვება დისტანციურად მიმდინარეობს, – აცხადებს რუსეთის სახელმწიფო დუმის წევრი, კონსტანტინ ზატულინი კავკასიაში შექმნილ სიტუაციაზე.

მისივე თქმით, რუსი სამშვიდობოები ყარაბაღში დიდი ხნით განლაგდნენ. ზატულინი ამბობს, რომ სომხეთის წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში მას უსაფრთხოების ორგანიზაცია „ოდკბ“ დაიცავს. სომხეთი ამ გაერთიანების წევრია.

როგორც არ უნდა განვითარდეს რეგიონში მოვლენები, საქართველოს ეს შეეხება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეგიონში გააქტიურდა აშშ.

# ნიკა მელიამ 2021 წლის 7 სექტემბრის ამნისტიაზე უარი თქვა

20 ივნისის საქმეზე ბრალდებული ნიკა მელია წინააღმდეგია მასზე 2021 წლის 7 სექტემბრის ამნისტია გავრცელდეს.

აღნიშნულის შესახებ სასამართლო პროცესზე მელიას ადვოკატმა, დიმიტრი საძაგლიშვილმა განაცხადა.

მან სასამართლო სხდომაზე მელიას პოზიციის გაჟღერებამდე მოსამართლეს კითხვით მიმართა, ჰქონდა თუ არა მოსამართლე ნინო ჩახნაშვილს მის სამოსამართლეო პრაქტიკის განმავლობაში მსგავსი ფაქტი და დაუსვამს თუ არა მას მსგავსი კითხვა სხვა ბრალდებულისთვის.

მოსამართლემ უპასუხა, რომ სასამართლოს არ უსვამენ ასეთ კითხვებს და რომ მან კითხვა დასვა და პასუხი უნდა მიიღოს იმასთან დაკავშირებით, თუ რა პოზიცია აქვს მელიას ამნისტიასთან დაკავშირებით.

– ეს კითხვა რიტორიკული იყო, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. ნიკა მელიამ პოზიცია არაერთხელ დააფიქსირა მკაფიოდ, ნიკა მელია ამ საქმეში უდანაშაულოა. მას ბრალი პოლიტიკური მოტივით აქვს წარდგენილი, საქმეში პოლიტიკური ნებაა გადამწყვეტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, ნიკა მელია წინააღმდეგია მასზე 2021 წლის 7 სექტემბრის ამნისტია გავრცელდეს, – განაცხადა საძაგლიშვილმა.

კომენტარი გააკეთა საქმის პროკურორმა ამირან გულუაშვილმა.

– დღევანდელ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარემ სამართლიანი სასამართლოს უფლებით ისარგებლა და უარი განაცხადა ამნისტიის კანონის გამოყენებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემული სისხლის სამართლის განხილვა სტანდარტული პროცედურის შესაბამისად გაგრძელდება, – განაცხადა მან.

პროკურორმა განმარტა, ამნისტიის აქტით როგორ შეუძლია ბრალდებულსა თუ მსჯავრდებულს სარგებლობა.

– 7 სექტემბერს ამნისტიის შესახებ კანონი იქნა მიღებული, დღეის მდგომარეობით, მას იურიდიული ძალა გააჩნია და მოქმედებს. დღევანდელ სასამართლო სხდომაზე კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, მოსამართლემ გაარკვია დაცვის მხარის პოზიცია კანონის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ეს კანონი ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლებას იმ პირებისა, რომელთაც დანაშაული ჩადენილი აქვთ 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით.



დღევანდელ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარემ სამართლიანი სასამართლოს უფლებით ისარგებლა და უარი განაცხადა ამნისტიის კანონის გამოყენებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემული სისხლის სამართლის განხილვა სტანდარტული პროცედურის შესაბამისად გაგრძელდება და მოხდება, ბრალდების, დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით აღნიშნული წარმოების გაგრძელება. ამასთან, მოქმედი ამნისტიის კანონის გამოყენებასთან დაკავშირებითაც იყო მსჯელობა, რომელიც ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას ნებისმიერ ეტაპზე, საქმის განხილვისა თუ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში სასჯელის მოხდის ნებისმიერ ეტაპზე გამოითხოვოს წერილობით მისი უარი, რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ კანონის თანახმად, მოსამართლე მას გაათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან. ჩვენ შემთხვევაშიც, ბრალდებულს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს ისარგებლოს ამ საკითხით.

ამნისტიის შესახებ ყველა კანონი ითვალისწინებს სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების შესაძლებლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ პირს, ვის მიმართაც ამნისტიით გათვალისწინებული საშეღავათო პირობა ვრცელდება, თუ ის მოცემულობას არ ეთანხმება მისი საქმის შეწყვეტაზე, თუ სურს მაგალითისათვის, საკუთარი სიმართლის დამტკიცება სასამართლოსთვის, ბრალდების მხარის მტკიცებულებებში მონაწილეობის მიღება, საკუთარი მოწმეების და მტკიცებულებების წარმოდგენა, მას უფლება აქვს, მოითხოვოს, მასზე ამნისტიის შესახებ კანონი არ გავრცელდეს და სასამართლომ სტანდარტული პროცედურით გააგრძელოს ასეთი შემთხვევა, – განაცხადა პროკურორმა გულუაშვილმა.

# ყვარელში საქართველოს ბანკის ფილიალში მძარცველი შეიჭრა

## პოლიციამ თავდამსხმელი დააკავა

9 სექტემბერს საქართველოს ბანკის ყვარლის ფილიალში შეიარაღებული პირი შეიჭრა.

თავდასხმის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე პოლიციის თანამშრომლებმა, მყისიერი რეაგირების რეჟიმში, შემოსაზღვრეს შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორია.

თავდამსხმელმა ნახევარი მილიონი მოითხოვა.

მან ასევე მოითხოვა მიმდებარე ტერიტორიიდან პოლიციის თანამშრომლების გასვლა.

– გამოდი გარეთ და გავიაროთ დეტალები. რამდენ ხანს გაძლებ მანდ? სხვა მოთხოვნები გაქვს? რამე პრობლემები ხომ არ გაქვს? – მოგიგვარებთ! – ასე მიმართა მომლაპარაკებელმა მძარცველს.

მოგვიანებით თავდამსხმელმა ყველა მძევალი გაათავისუფლა.

– ყველა მძევალი თავისუფალია, არც ერთი ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. შეტყობინების მიღებისთანავე სამართალდამცავებმა ადგილზე დაიწყეს საგამოძიებო მოქმედებები. ადგილზე იმყოფებიან სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლები. ამ წუთებშიც მიმდინარეობს ღონისძიება. დეტალებზე საუბარი არ შემიძლია. გამოძიება დაწყებულია და მიმდინარეობს არაერთი მუხლით.

შეიარაღებასთან დაკავშირებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს პირი ნამდვილად შეიარაღებულია. იყო მოთხოვნა თანხასთან დაკავშირებითაც. გამოძიების ფარგლებში მიმდინარეობს პირის იდენტიფიცირება, – განაცხადა შსს-ს პრესსამსახურის უფროსმა ქეთი კოვზიაშვილმა.




საღამოს თავდამსხმელის დაკავება მოხერხდა.

– რამდენიმესაათიანი სპეცოპერაცია წარმატებითაა დასრულებული. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს და გაანეიტრალეს პირი, ვინც იყო ბანკში და რომელსაც ჰყავდა მძევლები, – განაცხადა ქეთი კოვზიაშვილმა.

მისივე თქმით, გამოძიება 3 მუხლით არის დაწყებული.

# რაფაელ მურსაკულოვი შანაი ბრუკის მკვლელობას არ აღიარებს

## მას ბრალს 10 სექტემბერს წაუყენებენ

ავსტრალიის მოქალაქე შანაი ბრუკის მკვლელობისთვის დაკავებული რაფაელ მურსაკულოვის ადვოკატის სოფიო გოგლიჩიძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალს არ აღიარებს და დუმილის უფლებას იყენებს.

როგორც სოფიო გოგლიჩიძემ აღნიშნა, ბრალდებული გარდაცვლილს არ იცნობდა და მასთან არანაირი შეხება არ ჰქონია.

– მე შევხვდი უკვე ჩემ დაცვის ქვეშ მყოფს, მოვისმინე მისი პოზიციებიც. ოფიციალური ბრალი ჯერ არ წაუყენებიათ მისთვის. რაც შეეხება მის პოზიციას, იგი ამ ეტაპზე იყენებს დუმილის უფლებას. ასე რომ, კონკრეტულად მესამე პირები და სხვა პირები მონაწილეობენ თუ არა, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ. საქმის მასალები ჯერ არ გადმომცემია.

რაც შეეხება კითხვას, იცნობდა თუ არა მას, ის აცხადებს, რომ არ იცნობდა, არანაირი შეხება ამ პიროვნებასთან არ ჰქონია. ბრალს არ აღიარებს, დუმილის უფლებას იყენებს, – განაცხადა ადვოკატმა.

შეკითხვაზე, ბრალდებული თანამშრომლობდა თუ არა „ქართულ ოცნებასთან“ და რა სახის თანამშრომლობა იყო ეს, ადვოკატმა აღნიშნა:



– „ქართული ოცნების“ აქტივისტი იყო. რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხებს, ამ თემასთან შეხებაში არ არის, – განაცხადა სოფიო გოგლიჩიძემ.

მისივე თქმით, რაფაელ მურსაკულოვს ბრალს ოფიციალურად 10 სექტემბერს წაუყენებენ.

# ფონიჭალაში „ტვ პირველის“ ოპერატორზე ძალადობის ფაქტზე დაკავებულს ბრალი წარედგინა

საქართველოს პროკურატურამ ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ოპერატორის მიმართ განხორციელებული ძალადობის, პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისა და ნივთის დაზიანების ფაქტზე დაკავებულ რ.ა.-ს ბრალდება წარუდგინა.

ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 7 სექტემბერს, თბილისში, სოფელ ფონიჭალაში, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ ნარკორეალიზატორების დაკავებასთან დაკავშირებული სპეცოპერაციისას, ერთ-ერთი დაკავებულის ნათესავი, რ.ა. აგრესიულად იყო განწყობილი და უკმაყოფილებას გამოთქვამდა ჟურნალისტების მიმართ სპეცოპერაციის გაშუქებისა და ინფორმაციის გავრცელების გამო, რა დროსაც მათ ძალადობის მუქარით მოსთხოვა, შეეჩერებინათ გადაღება. ვინაიდან ჟურნალისტებმა მათი პროფესიული საქმიანობა გააგრძელეს, რ.ა. ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის მიზნით, ავტომანქანით განზრახ დაეჯახა ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ოპერატორ ლ.ბ.-ს ფეხის არეში და დაუზიანა ვიდეოკამერის შტატივი, რითაც აიძულა შეეწყვიტა პროფესიული საქმიანობა.

რ.ა.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა),

126-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (ძალადობა) და 187-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (სხვისი ნივთის დაზიანება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

საქართველოს პროკურატურა მსგავსი სახის დანაშაულის ფაქტებზე მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ახორციელებს, რასაც მომავალშიც გააგრძელებს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# პოლიციამ იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

## დაკავებულია 3 პირი



შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სხვადასხვა დროს, ბორჯომში, წყალტუბოსა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს.

სამართალდამცველებმა წარსულში ნასამართლევი 3 პირი დააკავეს: 1964 წელს დაბადებულ, ჯ.პ.-ს ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში ედება, ხოლო 1991 წელს დაბადებულ ზ.კ. და 1982 წელს დაბადებული გ.ღ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასა და ტარებაში არიან ბრალდებული.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ლენტეხის მუნიციპალიტეტში ბრალდებული ჯ.პ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს: „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი, კალაშნიკოვის სისტემის „აკს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, „კარაბინის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, გლუვლულიანი თოფი, მჭიდი და 914 საბრძოლო ვაზნა.

ქუთაისის პოლიციის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში ნასამართლევი ზ.კ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ავტომობილით გადაადგილებისას შეაჩერეს. პოლიციამ, აღნიშნული ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო კალაშნიკოვის სისტემის „აკ-45“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 9 საბრძოლო ვაზნა.

სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ბორჯომის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბორჯომში, გრიგოლ რობაქიძის ქუჩაზე, ბრალდებული გ.ღ.-ის პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს „ჩეზეს“ სისტემის პისტოლეტი და მჭიდი.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

# უშბაზე მოლდოველი მამა-შვილი გარდაცვლილი იპოვეს



მაშველებმა 11-დღიანი ძებნის შემდეგ მწვერვალ უშბაზე გაუჩინარებული მოლდოველი ალპინისტი მამა-შვილი გარდაცვლილი იპოვეს.

უამინდობის და რთული გარემო პირობების გამო, სამძებრო სამუშაოებში შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენიც იყო ჩართული.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა შეტყობინება მესტიაში, მწვერვალ უშბაზე გაუჩინარებული უცხოეთის ორი მოქალაქის შესახებ. ინიციატორის ინფორმაციით, მთამსვლელებთან ვერ ხერხდებოდა დაკავშირება, უცნობი იყო მათი მდგომარეობა და საჭირო იყო სახანძრო-სამაშველო ძალების დახმარება.

შეტყობინებაზე რეაგირება მოახდინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა და დაიწყო აქტიური საძიებო-სამაშველო ღონისძიებები. უამინდობის და რთული გარემო პირობების გამო, მაშველებს მწვერვალზე ქვეითად გადაადგილება უწევდათ. საძიებო-სამაშველო ღონისძიებაში შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენიც ჩაერთო.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველებმა, საძიებო ოპერაციის ფარგლებში, მწვერვალ უშბაზე ორი ადამიანის ცხედარი აღმოაჩინეს.

ცხედრები გადმოსვენებულია მესტიაში და ტარდება შესაბამისი პროცედურები“ – ნათქვამია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# მებაჟე ოფიცრებმა 48.380 ღერი არადეკლარირებული სიგარეტის შემოტანის ფაქტი აღკვეთეს

მებაჟე ოფიცრებმა 48.380 ღერი არადეკლარირებული სიგარეტის შემოტანის ფაქტი აღკვეთეს.

ინფორმაციას ამის შესახებ შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

„უწყების ცნობით, შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, საბაჟო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“, ეჭვის საფუძველზე, სატვირთო ავტომანქანის დეტალური დათვალიერების შედეგად, დეკლარირებულ ტვირთთან ერთად (ფრინველთა საკვები), 48.380 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი გამოავლინეს. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 11.069,6 ლარი შეადგინა“, – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

# მარნეულში ახალგაზრდა ქალმა მანქანა გაიტაცა და მერიის ეზოში შევარდა

მარნეულში ახალგაზრდა ქალმა მანქანა გაიტაცა და მერიის ეზოში შევარდა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილზე პოლიცია და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები იყვნენ მობილიზებული.

ქალი ადგილზე დააკავეს.

# მაროკოს საპარლამენტო არჩევნებში ლიბერალური პარტია ლიდერობს




მაროკოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ლიბერალური პარტია „დამოუკიდებლების ეროვნული გაერთიანება“ ლიდერობს.

პარტიამ, რომელსაც სოფლის მეურნეობის მილიარდერი მინისტრი აზიზ ახანაჩი ხელმძღვანელობს, 395-ადგილიან პარლამენტში 97 მანდატი მოიპოვა, მეორე ადგილზეა კიდევ ერთი ლიბერალური პარტია, „აუთენტურობის და თანადროულობის პარტია“, რომელმაც პარლამენტში 82 ადგილი მოიპოვა.

რაც შეეხება ისლამისტურ პარტიას, „სამართლიანობისა და განვითარების პარტიას“, რომელიც ქვეყანაში მმართველ კოალიციას 2011 წლიდან ხელმძღვანელობდა, მან არჩევნების შედეგად პარლამენტში მხოლოდ 12 ადგილის მოპოვება შეძლო.

პარტიამ განცხადება გაავრცელა, სადაც კონკურენტებს ამომრჩევლების ხმების მოსყიდვაში ადანაშაულებს.

საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ, მაროკოს მეფე მუჰამედ VI პრემიერ-მინისტრს იმ პარტიიდან დაასახელებს, რომელიც პარლამენტში უმრავლესობას მოიპოვებს.

დასახელებულმა პრემიერმა მინისტრთა კაბინეტი უნდა ჩამოაყალიბოს და მეფეს დასამტკიცებლად წარუდგინოს.

# ჩრდილოეთ მაკედონიაში კოვიდ კლინიკაში ხანძარი გაჩნდა

## 14 ადამიანი დაიღუპა



ჩრდილოეთ მაკედონიის ქალაქ ტეტოვოს ერთ-ერთ საავადმყოფოში, სადაც კორონავირუსით ინფიცირებულ პაციენტებს მკურნალობდნენ, ხანძარი გაჩნდა.

ხანძრის შედეგად 14 ადამიანი დაიღუპა.

„ხანძრის შედეგად 14 ადამიანი დაიღუპა, მაგრამ დაღუპულთა რიცხვი შესაძლოა გაიზარდოს. ძალიან სამწუხარო დღეა“ – დაწერა ჯანდაცვის მინისტრმა ვენკო ფილიპჩემ ტვიტერზე.

მეხანძრეებმა ხანძრის ლიკვიდირება 1 საათზე ნაკლებ დროში შეძლეს. ჯერჯერობით უცნობია, სულ რამდენი პაციენტი იმყოფებოდა საავადმყოფოში ხანძრის დროს.

ჩრდილოეთ მაკედონიაში კორონავირუსის შემთხვევებმა მნიშვნელოვანი მატება აგვისტოს შუა რიცხვებიდან დაიწყო. ქვეყანაში პანდემიის დაწყების დროიდან კორონავირუსის 180.000-მდე შემთხვევაა დადასტურებული, აქედან დაღუპულია 6.000-ზე მეტი ადამიანი.

ქვეყანაში ვაქცინების 2 დოზით 30%-ზე ნაკლები ადამიანია აცრილი.

# ვირჯინიის შტატში გენერალ ლის ძეგლი აიღეს



ვირჯინიის შტატში, რიჩმონდში, ამერიკის კონფედერაციული შტატების არმიის გენერლის, ედვარდ ლის, ქანდაკება აიღეს.

გუბერნატორ რალფ ნორტჰემის განცხადებით, ქანდაკების აღება ეროვნული პროტესტის შედეგია, რომელიც ჯორჯ ფლოიდის გარდაცვალებას მოჰყვა.

მემორიალის აღება 2020 წელს იგეგმებოდა, თუმცა პროცესი რიჩმონდის მცხოვრებლების პროტესტისა და წინააღმდეგობის შედეგად, მათ მიერ შეტანილი ორი სარჩელის ფონზე შეფერხდა.

გასულ კვირას ვირჯინიის უზენაესმა სასამართლომ უარყო სარჩელი და ქანდაკების აღების გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა.

– ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმის საჩვენებლად, თუ ვინ ვართ ჩვენ და რას ვაფასებთ, როგორც სახელმწიფო, – ასე შეაფასა გუბერნატორმა რალფ ნორტჰემმა აღნიშნული გადაწყვეტილება.

რობერტ ედვარდ ლი ამერიკის სამოქალაქო ომის დროს კონფედერაციული შტატების არმიის წამყვანი გენერალი იყო, რომელიც მონობას უჭერდა მხარს.

მას მიაჩნდა, რომ მონობა არა თეთრკანიანებისთვის, არამედ სწორედ ფერადკანიანებისთვის იყო კარგი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# პრინცმა ჰარიმ და მეგან მარკლმა ელისაბედ II-სთან შეხვედრა ითხოვეს



პრინცმა ჰარიმ და მეგან მარკლმა ელისაბედ II-სთან აუდიენცია ითხოვეს. სავარაუდოდ, სასექსის ჰერცოგს და ჰერცოგინიას დედოფლისთვის თავიანთი გოგონას და მისი შვილთაშვილის ლილიბეტის გაცნობა სურთ.

აღსანიშნავია, რომ ბევრი გააოგნა წყვილის თხოვნამ, შეხვდნენ ელისაბედ II-ს. სასექსის ჰერცოგებს შეეძლოთ გულწრფელად გაეკეთებინათ განცხადება დედოფალთან შეხვედრის სურვილის თაობაზე. თუმცა ეს გადაწყვეტილება იმის გამო იწვევს გაკვირვებას, თუ რისი გადატანა მოუხდა ელისაბედ II-ს წყვილის ქმედებების გამო. სამეფო სასახლეში დედოფალთან სასექსის ჰერცოგების შეხვედრას შესაძლებლად, თუმცა, ამავე დროს, გამაოგნებლად თვლიან.

ამ მომენტისთვის დედოფალს პრინც ჰარის და მეგან მარკლის ვიზიტზე ოფიციალური თანხმობა არ განუცხადებია. თუმცა, ამავე დროს ცნობილია, რომ მას თავისი შვილთაშვილის ლილიბეტის ნახვა სურს.

# ყველაზე ახალგაზრდა ესპანელმა ეპისკოპოსმა ეკლესია შეყვარებული ქალის გამო დატოვა



52 წლის ეპისკოპოსმა ხავიერ ნოველმა 38 წლის სილვია კაბალიოლთან რომანის გამო უარი თქვა ეკლესიაში ღვთისმსახურების გაგრძელებაზე. ქალი ფსიქოლოგია და ამავე დროს სატანისტური სიუჟეტებიანი ეროტიკული რომანების ავტორი.

ნოველმა ეპისკოპოსის ხარისხი 40 წლის ასაკში ესპანეთის ქალაქ სოლისონში მიიღო და ესპანეთის ყველაზე ახალგაზრდა ეპისკოპოსი გახდა. ის გამოდიოდა აბორტის, ერთსქესიანთა ქორწინების და ევთანაზიის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ის მხარს უჭერდა კატალონიის დამოუკიდებლობას. აგვისტოს ბოლოს ღვთისმსახურმა უარი თქვა ეპისკოპოსობაზე და ბარსელონაში გაემგზავრა. მალე გაირკვა, რომ ეპისკოპოსის ეს გადაწყვეტილება საყვარელ ქალს უკავშირდებოდა.

ნოველის შეშინებულმა კოლეგებმა ჩათვალეს, რომ მას სულში ეშმაკი ჩაუსახლდა და მისი სულის გადარჩენისთვის ლოცვა დაიწყეს. ნოველი ეპისკოპოსების კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს, რათა მის გადაწყვეტილებაზე ემსჯელათ, მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა მასში მონაწილეობის მიღებაზე და რომ არაფრის გაგონება აღარ სურს არც კონფერენციაზე, არც ეპისკოპოსებსა და აღარც ეკლესიაზე.

# მამაკაცი 33 წელი მალავდა მშობლების გარდაცვალებას და მათ პენსიაზე ცხოვრობდა

ირლანდიის ქალაქ კორკის მცხოვრები ათწლეულების მანძილზე იღებდა თავისი გარდაცვლილი მშობლების კუთვნილ პენსიას.

58 წლის დონ ო,კოლაგენს ბრალად ედება რამდენიმე ასეული ათასი ევროს ქურდობა. ირლანდიელმა სახელმწიფოს დაუმალა მშობლების გარდაცვალება და ამას 33 წლის განმავლობაში აკეთებდა.

სასამართლოში მამაკაცის საქმის განხილვაზე პოლიციელმა მიკ ნაიგლმა განაცხადა, რომ ო,კოლაგენი სამართალდარღვევის 73 შემთხვევაშია ბრალდებული, მათ შორის 68 ქურდობის შემთხვევაა და ხუთი ყალბი საბუთების წარდგენა.

ირლანდიელის ადვოკატმა ედი ბიურკმა მოსამართლე ოლანის კელეხერს განუცხადა, რომ მისი კლიენტი მზადაა ხელი მოაწეროს დანაშაულის აღიარებას. მოსამართლემ საქმე საოლქო სასამართლოში გადააგზავნა. სასამართლო სხდომა, რომელზეც მამაკაცს სასჯელს გამოუტანენ, 26 ოქტომბერს გაიმართება.

მანამდე ო,კოლაგენი გირაოს სანაცვლოდაა განთავისუფლებული.



# პოპულარული ტელეწამყვანის ფერმას სვინგერები შეეჩვივნენ

პოპულარული ბრიტანელი ტელეწამყვანის ჯერემი კლარკსონის სასოფლო სამეურნეო ფერმას სვინგერები შეეჩვივნენ (ასე უწოდებენ სვინგის – ჯგუფური სექსის მიმდევრებს, რომელშიც რამდენიმე წყვილი მონაწილეობს და რომლებიც პარტნიორებს ერთმანეთს უცვლიან).

მწვავე შეგრძნებების მოყვრულები ფერმაში იპარებიან, რომელიც მათი მტკიცებით არასათანადოდაა დაცული. ერთ-ერთმა სვინგერმა სპეციალურ ფორუმზე გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელშიც თავს იმით იწონებს, რომ სექსით კლარკსონის ერთ-ერთ ტრაქტორში იყო დაკავებული.

სვინგ-გაერთიანებასთან დაახლოებულმა ინფორმირებულმა წყარომ ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემას განუცხადა, რომ მათ გაერთიანებაში იზრდება ცნობილი ადამიანების ტერიტორიაზე შეხვედრების ტენდენცია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მამაკაცი დათვრა, იახტიდან გადახტა და ზვიგენს ზურგზე დაახტა



მამაკაცი მეგობრებთან ერთად იახტაზე ისვენებდა. დალია და გადაწყვიტა წყალში გადამხტარიყო და უზარმაზარ ზვიგენს შეხტომოდა ზურგზე, რომელიც იახტის გვერდით მიცურავდა. მისი ამ ქმედების ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ მშვიდად მიცურავს იახტის გასწვრივ უზარმაზარი ზვიგენი. სავარაუდოდ, მტაცებელი თევზი მზეზე თბებოდა. ამ დროს ახალგაზრდა მამაკაცი წყალში გადახტა და ზვიგენს ზურგზე დაახტა. მას მალევე მისმა ერთმა მეგობარმაც მიბაძა და ისიც წყალში აღმოჩნდა.

ხმაურისგან დამფრთხალმა ზვიგენმა გაცურა და იახტას მოშორდა. საბედნიეროდ ამ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. უცნობი დარჩა, თუ სადაა აღნიშნული ვიდეო გადაღებული.

# ბოტანიკურ ბაღში ტბაში ჩავარდნილი მამაკაცი იშვიათი ინფექციისგან დაიღუპა

ინგლისის მერსისაიდის საგრაფოს ქალაქ საუთპორტის ბოტანიკურ ბაღში მამაკაცი ტბაში ჩავარდა, უიშვიათესი ინფექციით დაინფიცირდა და დაიღუპა.

37 წლის ბენ სმიტ-კროლანი ტბაში ჩავარდა და ფეხი გაიჭრა. რამდენიმე დღის შემდეგ მან ფეხზე დასიება შენიშნა და ექიმს მიმართა. მას ნეკროტული ფასციტი – სასიკვდილოდ სახიფათო ინფექცია დაუდგინდა.

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ელვის სისწრაფით უარესდებოდა და მალე სმიტ-კროლანი საავადმყოფოში იქნა მოთავსებული. ექიმებმა ის ხელოვნურ კომურ მდგომარეობაში გადაიყვანეს და დაშავებული ფეხი მოკვეთეს. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით მამაკაცი ინფექციისგან გარდაიცვალა.

გარდაცვლილის მამა პიტერ სმიტ-კროლანი მოითხოვს, რომ ტბის გარშემო გაკეთდეს მოაჯირები, ხოლო თავად წყალსაცავში წყლის გამწმენდი სისტემა დაიდგას.

# მამაკაცი კოლეგას ჩიზბურგერით გაუმასპინძლდა და გამდიდრდა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ ფრანკლინვილის მცხოვრებმა განაცხადა, რომ საკუთარმა გადაწყვეტილებამ – კოლეგას ჩიზბურგერით გამასპინძლებოდა, მილიონი დოლარით გაამდიდრა.

კევინ პულმა გადაწყვიტა კეთილი საქმე გაეკეთებინა კოლეგისთვის და სადილით გამასპინძლებოდა.




– ელექტრიკოსი, რომელთან ერთადაც ვმუშაობ, წინა დღეს სადილით გამიმასპინძლდა. მე მას ვუთხარი, რომ დღეს ჩემი ჯერი იყო, – განმარტა პულმა.

პული კაფეში კოლეგასთან ერთად მივიდა. სანამ შეკვეთას ელოდებოდა, მან მომენტალური ლატარიის ბილეთი შეიძინა.

– როდესაც ჩემი ჩიზბურგერი შევჭამე, ბილეთზე დამცავი ფენა გადავფხიკე, – იხსენებს იღბლიანი ამერიკელი.

აღმოჩნდა, რომ მან მილიონი დოლარი მოიგო. პული მოგებული თანხით სახლის ყიდვას აპირებს. ასევე სურს შეიძინოს მიწის დიდი ნაკვეთი, რათა იქ მოტოკროსისთვის ტრეკი მოაწყოს და სადაც მისი შვილები ივარჯიშებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# რონალდ კუმანი: „თუ მწვრთნელი საკუთარ გეგმას გუნდს ვერ მოარგებს, კარგად არ მუშაობს“

**ბარსელონას თავკაცმა, რონალდ კუმანმა ესპანურ მედიასთან ვრცელი ინტერვიუ ჩაწერა, სადაც აცხადებს, რომ კატალონიური კლუბის გაწვრთნა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში სურს.**

***– რისი მიცემა შეუძლია ლუკ დე იონგს ბარსელონასთვის?***

– პირველ რიგში, ყოველთვის მიკვირდა, რომ ბარსას, საუკეთესო პერიოდშიც კი, დე იონგის ტიპის ფეხბურთელი არ ჰყავდა. ვფიქრობ, ის ბარსას შემტევებისგან განსხვავებულია. განსაკუთრებით კარგია საჰაერო ორთაბრძოლებში და ასეთ ფეხბურთელს თამაშის ბედის გადაწყვეტა შეუძლია. დე იონგს გამოცდილებაც აქვს. მასთან ერთად ნაკრებში 2 წელი ვიმუშავე და არაერთხელ აჩვენა, რომ ბარსელონას დონეს შეეფერება.

***– მისი დამატება სატრანსფერო ფანჯრის ბოლოს გადაწყდა?***

– არა, აგვისტოს დასაწყისში ლუკთან შესაძლო ტრანსფერი უკვე განხილული მქონდა. იმის გათვალისწინებით, რომ აგუერო, ფატი, დემბელე და კოუტინიო ტრავმირებულები იყვნენ, კლუბს შევატყობინე, რომ გუნდში დე იონგის ტიპის თავდამსხმელის ყოფნა მსურდა. მისი შეძენით ძალიან ბედნიერი ვარ.

***– შეძლებთ კლუბის ინტერესების დაცვას, თუ ეს თქვენი, როგორც მწვრთნელის, ინტერესებს ავნებს?***

– დიახ, მივიჩნევ, რომ ვალდებული ვარ, დავეხმარო მთლიანად კლუბს და არამარტო გუნდს. ვცდილობ, გუნდის გაძლიერება კლუბის ინტერესების დაცვით შევძლო. რა თქმა უნდა, ის, რაც ბოლო პერიოდში ბარსაში ხდება, რაღაც ძალიან განსაკუთრებული მოვლენაა.

თავს უკვე ყველაფერი გადამხდა. ჩემი ბარსელონაში მისვლის პირველი დღიდანვე, მესის წასვლა სურდა, კლუბის ეკონომიკური სიტუაცია ძალიან რთული იყო, ბართომეუს მიმართ უნდობლობის გამოცხადების პროცესი მიმდინარეობდა, რაც მისი და ბორდის გადადგომით დამთავრდა. უამრავი პრობლემა იყო, ეს არ იყო იოლი. ემერსონი იმის მაგალითია, რომ კლუბის დახმარება მსურს. კლუბს ვუთხარი, რომ თუ ეს შემოსავალი მნიშვნელოვანი იყო, ემერსონის გაყიდვაზე თანახმა ვიყავი, რადგან ჩვენ დესტი, მინგესა და სერჟი რობერტო გვყავს. შემეძლო მის გაშვებაზე უარი მეთქვა.

***– გრიზმანის შემთხვევაშიც იგივე მოხდა?***

– დიახ, მაგრამ ეს შემთხვევა უფრო რთული იყო, რადგან მისი შემცვლელის მოსაძებნად დრო, ფაქტობრივად, არ იყო. გრიზმანის წასვლამ კლუბის ფინანსურ მდგომარეობაზე დადებითად იმოქმედა, მის გაშვებას ამიტომაც დავთანხმდი.

***– თუმცა გულშემატკივრისგან აღიარების მიღება მხოლოდ სპორტული წარმატებით არის შესაძლებელი.***

– ასეა, მწვრთნელი შედეგებით ფასდება, არავინ მიაქცევს ყურადღებას, რომ არ გვყავს ანსუ, დემბელე და უკვე აგუეროც.

***– გასულ სეზონში თქვენ პირველი იყავით, ვინც ხელფასის შემცირებას დათანხმდა. ახლა ამისთვის ფეხბურთელებს ტაშს უკრავენ.***

– ჩავთვალე, რომ სხვებისთვის მაგალითი უნდა მიმეცა. მიხარია, რომ კაპიტნებმა და სხვა ფეხბურთელებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს.

***– ლუის სუარესის გაშვებას ნანობთ?***

– არა. როდესაც ბარსელონაში მივედი, რაღაცების შეცვლა აუცილებელი იყო და გადავწყვიტეთ, რომ ლუის სუარესის წასვლა კლუბს წაადგებოდა. ვფიქრობდით, რომ წავიდოდა იუვენტუსში და არა – ატლეტიკოში. თუმცა, არასდროს უნდა ინანო ის გადაწყვეტილება, რომელიც გუნდისა და კლუბის საკეთილდღეოდ არის მიღებული.

***– რომელი იყო 2020-21 წლების სეზონის საუკეთესო მომენტი?***

– რა თქმა უნდა, კოპა დელ რეის ფინალი ბილბაოსთან. თავიდან ბოლომდე, იდეალური შეხვედრა ჩავატარეთ, ლეო დაფრინავდა, ბრწყინვალე დონეზე ვითამაშეთ.

***– რომელი იყო 2020-21 წლების სეზონის ყველაზე ცუდი მომენტი?***

– გრანადასთან შინ წაგებული თამაში, რადგან გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილზე გადავდიოდით და 70-ე წუთზე 1:0-ს ვიგებდით.

***– როგორი ურთიერთობა გაქვთ პრეზიდენტთან?***

– ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს, ხშირად ვსაუბრობთ. საბოლოო ჯამში, პრეზიდენტის, ჩემი, თქვენი, ყველას სურვილს ბარსას წარმატება წარმოადგენს. ვიცით, რომ რთული პერიოდი დგას, მაგრამ წინ მივიწევთ და ამ კლუბს დიდი მომავალი აქვს.

***– როგორ აფასებთ იმას, რომ ლაპორტა საფეხბურთო საკითხების შესახებ საჯაროდ საუბრობს, რაც ხშირად ხდება?***

– სასიამოვნოა, როდესაც პრეზიდენტი ჩემთან ფეხბურთზე საუბრობს და ჩემი სამუშაოს მიმართ ინტერესს იჩენს. რა თქმა უნდა, ეს საუბრები ჩვენ შორის რჩება.

***– კონტრაქტის გახანგრძლივება გსურთ?***

– რა თქმა უნდა. მინდა, ამ კლუბში კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ვიმუშავო, მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომელთან გამკლავებაც კლუბს დღეს უწევს. ვფიქრობ, რომ ჩვენი, მწვრთნელისა და სამწვრთნელო შტაბის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების წყალობით, ბარსას ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავს, იმედი მაქვს, რომ 3-4 ან, შესაძლოა, 5 წლის განმავლობაში მათი მწვრთნელი ვიქნები. ცოტა ხნის წინ, ჩემს აგენტთან ერთად, კლუბის ხელმძღვანელებს შევხვდი და მათგან მოვისმინე, რომ ისინი გუნდში დიდ პოტენციალს ხედავენ და თანამშრომლობის კიდევ 1 წლით გაგრძელება სურთ.



***– არსებობს მოსაზრება, რომ რიკი პუჩი თქვენთვის მიუღებელია.***

– არა, საერთოდ არა! რიკისთან არაერთხელ გვისაუბრია იმის შესახებ, თუ რა ასპექტებში უნდა მოუმატოს, რათა სათამაშო დრო მიიღოს. არსებობენ ადამიანები, რომელთაც ჩვენ შორის კონფლიქტის წარმოშობა სურთ, მაგრამ სიმართლე არის მხოლოდ ერთი – მე, ფეხბურთელებს, კლუბს და გულშემატკივრებს გამარჯვების მოპოვება გვსურს და ამისთვის მოედანზე ყოველთვის საუკეთესოებს გამოვიყვან. თუ მოვიგებ, კარგი მწვრთნელი გამოვალ, თუ წავაგებ – ცუდი. ჩემთვის ეს მისაღებია, მაგრამ უნდა მქონდეს იმ გადაწყვეტილებების მიღების საშუალება, რომელიც მიმაჩნია, რომ აუცილებელია.

***– შეძლებს ფილიპე კოუტინიო ძველი ფორმის დაბრუნებას?***

– რა თქმა უნდა. ახლაც, 100%-ით დარწმუნებული ვარ, რომ ბარსაში წარმატების მიღწევა შეუძლია. კოუ ძალიან მომწონს. მისი ბოლო ტრავმა მისთვის ძალიან ძლიერი დარტყმა აღმოჩნდა და უნდა აღდგეს როგორც ფიზიკურად, ასევე მენტალურად და დაბრუნდეს იმაზე ძლიერი, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

***– მესის დეკემბერში ბარსელონაში დარჩენა გადაწყვეტილი ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, მის გადაწყვეტილებაზე თქვენ გავლენა იქონიეთ?***

– ალბათ, რადგან თუ ფეხბურთელი მწვრთნელთან, ფეხბურთელებთან და სათამაშო სისტემასთან თავს კომფორტულად არ გრძნობს, რთული წარმოსადგენია, რომ დარჩენა სურდეს. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, მისთვის კომფორტული გარემო და გუნდი შეგვექმნა. მან დაინახა, რომ ამ გუნდში ბევრი ძალიან ნიჭიერი ფებურთელია, იგი თავს კარგად გრძნობდა.

***– არის დღევანდელი შემადგენლობა ის, რომელიც გსურდათ თუ რაღაც ისევ აკლია?***

– გაუმჯობესება ყოველთვის შესაძლებელია, თუმცა ერთ რამეს გეტყვით – თუ გუნდის თითოეული ფეხბურთელი ჯანმრთელი იქნება, მნიშვნელოვანი მიზნებისთვის ბრძოლა შეგვეძლება, ძალიან კარგი გუნდი გვყავს.

***– მიზანი ყველა ტიტულის მოგებაა?***

– რეალისტები უნდა ვიყოთ, ეს ძალიან რთული იქნება, მაგრამ ამბიციურები ვართ და სეზონს ოპტიმისტურად ვუყურებთ.

***– არსებობს მოსაზრება, რომ ერიკ გარსია ბარსას ძირითადში სათამაშოდ მზარ არ არის.***

– გარსია ესპანეთის ნაკრების ძირითადის წევრია. ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ მისი პოზიციური თამაში, ბურთთან მოპყრობა მომწონს, ტაქტიკურად ძალიან კარგია. რა თქმა უნდა, გარკვეულ ასპექტებში მოსამატებელი აქვს, მაგრამ მხოლოდ 20 წლისაა და წინ დიდი მომავალი ელის.

***– სათამაშო სისტემის შესახებ ბევრი საუბრობს. ზოგი თვლის, რომ კრუიფის (4-3-3) ერთგულები უნდა ვიყოთ.***

– არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კრუიფი ყოველთვის 4-3-3 სქემით არ თამაშობდა. იყო შემთხვევები, როდესაც ჩემს დროს, 3 მცველით ვთამაშობდით და მე ჩამშლელის პოზიციაზე ვიდექი. მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი – მწვრთნელი, რომელსაც არ სურს ან არ იცის, თუ როგორ მოარგოს თავისი სათამაშო სქემა სპეციფიკურ პრობლემასა თუ საჭიროებას, კარგად არ მუშაობს.

გასულ სეზონში ბარსა ყველაზე ეფექტური მაშინ იყო, როდესაც 3-მცველიანი ტაქტიკით ვთამაშობდით და ამას სტატისტიკაც მოწმობს. 4-3-3 სქემით თამაშს გავაგრძელებთ, მაგრამ, თუ 3-5-2 სისტემაზე გადასვლის საჭიროება დავინახე, ასეც მოხდება. ის გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ, რომლებიც გუნდისთვის საუკეთესო იქნება.

---

**ბულგარეთი-საქართველო 4:1**

**სოფია. ვასილ ლევსკი**

**1:0 ნედელევი (20), 2:0 დ.ილიევი (34პ), 0:3 დელევი (44), ა.ხრისტოვი (52), 1:4 დავითაშვილი (77)**

**ბულგარეთი:** მიხაილოვი, ველკოვსკი, ა.ხრისტოვი, პ.ხრისტოვი, ნედელევი (იანკოვი 60), დელევი (კირილოვი 60), ბ.ცონევი (კოსტადინოვი 68), ბოჟიკოვი, ჩოჩევი (ვიტანოვი 68), დ.ილიევი (კრასტევი 74), ი.ილიევი (კარაგენევი 67)

**საქართველო:** მამარდაშვილი, კაკაბაძე, ხოჭოლავა, ლოჩოშვილი, ხვადაგიანი, გიორბელიძე, დაუშვილი (აბურჯანია 60), ალთუნაშვილი (მამუჩაშვილი 60), ჩაკვეტაძე (დავითაშვილი 60), წიტაიშვილი (ქვილითაია 70), მიქაუტაძე

საქართველოს ნაკრებმა ბულგარეთში 1:4 წააგო. გუნდი ამჯერად ბულგარეთის ბ ნაკრებთან განადგურდა. დიახ, ბ ნაკრებთან, რადგან იასერ პეტროვს მოედანზე 9 ისეთი ფეხბურთელი ჰყავდა, რომელთაც ძირითად შემადგენლობაში არ მოიაზრებს.



**ვილი სანიოლი:**

– ბულგარელებთან მატჩში ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. შესაძლოა პირველ ტაიმში შეტევაში არც ისე ცუდად გამოვიყურებოდით, თუმცა დაცვაში უპატიებელი შეცდომები გვქონდა. როდესაც ცუდად თამაშობ, პოზიტიური მოლოდინი ვერ გექნება. ასევე ვთვლი, რომ კონკრეტულ მომენტებში არ გაგვიმართლა. მსურს მივულოცო ბულგარეთს ეს გამარჯვება. მათ ხარისხიანი ფეხბურთი ითამაშეს და ჩვენი შეცდომები კარგად გამოიყენეს.

## საქართველო აგებს და აგებს

სამწუხაროდ, ძალიან ცუდი სანაკრებო ფანჯარა გამოგვივიდა. ვფიქრობ, რომ თავდაჯერებულობის ნაკლებობის ბრალიცაა. ამის მიზეზი ისიც არის, რომ საკმაოდ ბევრი წამყვანი მოთამაშე დაგვაკლდა. როდესაც ამ დონის ფეხბურთელები ვერ გეხმარებიან, ძალიან რთულია ხარისხი შეინარჩუნო. ოქტომბერს და ნოემბერს იმედიანად ველოდები. მარტში ვნახეთ, რომ ამ გუნდს ხარისხიანი ფეხბურთის თამაში შეუძლია. არ ვფიქრობ, რომ ეს ხარისხი სადმე გაქრა და გპირდებით, რომ ოქტომბრის მატჩებისთვის თამაშის ხარისხი გამოსწორდება.

აქვე გეტყვით, რომ 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენს ჯგუფში 2 მატჩი გაიმართა. პირველი გამარჯვება მოიპოვა საბერძნეთის ნაკრებმა, რომელმაც შვედეთს 2:1 მოუგო. ეს ჯგუფში სკანდინავიელთა პირველი მარცხი გამოდგა.

საქართველოსთან მომგებმა კოსოვომ და ესპანეთმა კი პრიშტინაში ითამაშეს და პირინეელებმა 2:0 იმარჯვეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-5 | 13 |
| 2.შვედეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 3.საბერძნეთი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| 4.კოსოვო | 5 | 1 | 1 | 3 | 3-9 | 4 |
| 5.საქართველო | 5 | 0 | 1 | 4 | 2-9 | 1 |

## შედეგები

**8 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**მჩ-2022. შესარჩევი ეტაპი**

**ევროპა**

| | |
|---|---|
| საბერძნეთი-შვედეთი | 2:1 |
| კოსოვო-ესპანეთი | 0:2 |
| იტალია-ლიეტუვა | 5:0 |
| ჩრ. ირლანდია-შვეიცარია | 0:0 |
| ბელარუსი-ბელგია | 0:1 |
| უელსი-ესტონეთი | 0:0 |
| ალბანეთი-სან მარინო | 5:0 |
| პოლონეთი-ინგლისი | 1:1 |
| სომხეთი-ლიხტენშტაინი | 1:1 |
| ისლანდია-გერმანია | 0:4 |
| ჩრ.მაკედონია-რუმინეთი | 0:0 |

**კონკაკაფი**

| | |
|---|---|
| კანადა-სალვადორი | 3:0 |
| პანამა-მექსიკა | 1:1 |
| კოსტა რიკა-იამაიკა | 1:1 |
| ჰონდურასი-აშშ | 1:4 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ბულგარეთი-საქართველო | 4:1 |
| ჩეხეთი-უკრაინა | 1:1 |
| გვატემალა-ნიკარაგუა | 2:2 |

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ზვერევი-ჰარისი | 7:6,6:3,6:4 |
| ჯოკოვიჩი-ბერეტინი | 5:7,6:2,6:2,6:3 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| პლიშკოვა-საკარი | 4:6,4:6 |
| რადუკანუ-ბენჩიჩი | 6:3,6:4 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მშრომელი, დიდად ნაჯაფი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 3. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 4. ხელის კუნთების სავარჯიშო სპორტული იარაღი; 5. ქართული სანადიმო სიმღერა; 10. ბულვარული ჟურნალ-გაზეთების სახელწოდება აშშ-ში; 11. ხელოვნური წყალსაცავი აზერბაიჯანში; 12. ქართული ხალხური ნაციონალური ტანსაცმელი; 15. ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავების სერია; 16. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 20. მელაზე, კურდღელზე სანადიროდ გამოყენებული ინგლისური ჯიშის ძაღლი.

**თარაზულად:** 6. მდინარე მადრიდში; 7. თაფლისაგან მომზადებული მათრობელა სითხე; 8. მიწის ნაყოფიერების ღვთაება სვანურ მითოლოგიაში; 9. ქართული ნაციონალური კერძი; 13. ლატვიის დედაქალაქი; 14. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 18. მარცვლეულის შესანახი დიდი ნაგებობა; 19. აშშ-ის ლიგაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 22. ტაილანდის ისტორიული სახელწოდება; 22. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 23. ოსური ხაჭაპური; 24. სუფრული სიმღერა იტალიურ ოპერაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პუმა; 2. ელესა; 3. გრიგი; 5. სოკერი; 6. ლაშარელა; 9. ტროპოსფერო; 10. ჰართფილდი; 11. იაკიტორია; 14. ლია; 16. შაპიტო; 18. სიტე.

**თარაზულად:** 1. პლზენია; 4. მისტრალი; 7. ფეტიში; 8. გეიზერი; 12. ლორია; 13. ილუზია; 15. ათლეტი; 17. უფა; 19. ბურგომისტრი; 20. სოტბი; 21. მერანო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შენგელია; 2. გლუკოზა; 3. წინდა; 4. მურმანი; 5. ჯანდარა; 10. ვესტერნი; 11. სერვანტესი; 12. ალიკაპი; 15. პოლიფონია; 16. ფიესტა; 17. ატლანტა; 20. ტოლმა.

**თარაზულად:** 6. მეგალომანია; 7. თურნავა; 8. ატაკამა; 9. ალმაზა; 13. კაფე; 14. ცერული; 18. აკვალანგი; 19. ატაშე; 21. ზონდი; 22. ხარები; 23. სამთავისი; 24. ტრაქტატი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


10 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 3.1157 |
| ევრო | — 3.6865 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 4.3034 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.2682 |

## ამინდის პროგნოზი 10 სექტემბრისათვის




## ჟოან ლაპორტა: „მინდა, რომ დემბელე გუნდში დარჩეს“



ბარსელონას პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ უსმან დემბელეზე ისაუბრა და თქვა, მას სურს, რომ უსმანი გუნდში დარჩეს და ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ დემბელემ ბარსელონასთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს:

— მინდა, რომ უსმანი ჩვენთან დარჩეს, რადგან ის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და მას ყოველთვის შეუძლია მატჩის ბედი გადაწყვიტოს. დემბელეს აგენტთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და იმედია ეს მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება.

## ჯეკ უილშირი შესაძლოა არსენალში დაბრუნდეს



არსენალის ყოფილ ფეხბურთელს ჯეკ უილშირს ბორმნუთმა კონტრაქტი გაუწყვიტა და ამჟამად ის უგუნდოდ არის. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესაძლოა ჯეკი არსენალში დაბრუნდეს, რადგან ამის შესახებ ისაუბრა მიკელ არტეტამ, რომლის თქმითაც, უილშირისთვის არსენალის კარი ყოველთვის ღია იქნება:

— ჯეკთან ერთად მითამაშია და ძალიან კარგად ვიცი მისი შესაძლებლობები, ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ არსენალში მას სიამოვნებით ვიხილავდი.

## გიორგი ქოჩორაშვილმა ლევანტესთან კონტრაქტი გაახანგრძლივა




გიორგი ქოჩორაშვილმა ლევანტესთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. ამ ინფორმაციას ესპანური გუნდის ვებგვერდი ოფიციალურად ადასტურებს.

ქოჩორაშვილმა წლევანდელ სეზონში ლევანტეს შემადგენლობაში ერთი შეხვედრა უკვე ჩაატარა და გოლის გატანაც მოახერხა.

ქოჩორაშვილმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და შესაძლოა მან ეს კონტრაქტი კიდევ გაახანგრძლივოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 10 სექტემბრისათვის

**ვერძი** — წინააღმდეგობრივი დღეა. ნებისმიერი გადაწყვეტილება საგულდაგულო გადამოწმების შემდეგ მიიღეთ. **კურო** — დისციპლინირებულობა, მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული. **ტყუპები** — ჭორებს ნუ აჰყვებით. იღბლიანი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის. **კირჩხიბი** — ენერგიულად ხართ. ისეთ საქმეებსაც კი მარტივად აგვარებთ, რომლებსაც დიდი ძალისხმევა სჭირდება. **ლომი** — პერსპექტიული დღეა. ახალი იდეების რეალიზებას სულ იოლად მოახერხებთ. ნებისმიერი წამოწყება სასურველი შედეგით დამთავრდება. **ქალწული** — საკმაო სირთულეები შეგხვდებათ. შესაძლოა, ვალის დაბრუნება და ხელახლა აღება მოგიხდეთ. **სასწორი** — საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. უმჯობესია, თუ ჯერ დაწყებულ საქმეს დაამთავრებთ. **ღრიანკალი** — არ გარისკოთ. ყველა საქმე მომდევნო კვირისათვის გადადეთ. დაეხმარეთ ბავშვებსა და მეგობრებს. **მშვილდოსანი** — გამორიცხული არ არის, საქმიან შეხვედრაზე გაემგზავროთ ან შემოქმედებითი არეალი გაიფართოვოთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** — საქმიანი პარტნიორები იმედს გაგიცრუებენ. ზედმეტად ნურავის მიენდობით. **მერწყული** — აქტიური, ნაყოფიერი დღეა. ნებისმიერი პრობლემა დაუყოვნებელ მოგვარებას მოითხოვს. იყავით გონიერი და წინდახედული. **თევზები** — ინტუიცია გიმახვილდებათ. შინაგან ხმას მოუსმინეთ და სპონტანურად ნუ იმოქმედებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

— თქვენთან როგორი ხელფასებია? კარგია?

— ხელფასები კი კარგია, მაგრამ მაღაზიაში ფასებია ცუდი!

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— რა სულელი ვიყავი, შენ რომ ცოლად გამოგყევი!

— მე კი სულელი ვიყავი, ცოლად რომ მოგიყვანე.

ბავშვმა უსმინა მშობლებს და ეუბნება:

— ორივე სულელი ყოფილხართ, ჩემგან კი კარგად სწავლას ითხოვთ.

•••

სამსახურის დაწყების მსურველს დაწესებულების ხელმძღვანელი ეუბნება:

— ამიწერეთ საკუთარი ადეკვატურობის ხარისხი.

— სელფებს არ ვიღებ.

— მიღებული ხართ!

•••

განცხადება საბავშვო ბაღში:

„პატივცემულო მშობლებო, არ დაიჯეროთ ის ყველაფერი, რასაც თქვენი შვილები საბავშვო ბაღზე გიყვებიან! ჩვენი მხრიდან კი გპირდებით, რომ ჩვენ არ დავიჯერებთ იმას, რასაც თქვენზე თქვენი შვილები ყვებიან.“

•••

სამედიცინო კომისიაზე ფსიქიატრი მამაკაცს ეკითხება:

— აბა მითხარი, რითი განსხვავდება მზე მთვარისგან?

— რითი და მთვარე დედამიწის თანამგზავრია, ხოლო მზე ვარსკვლავი.

— შენ რა, დებილი ხარ? მზე დღისით ანათებს, ხოლო მთვარე ღამით!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მთაწმინდაზე სერგო ფარაჯანოვის სახელობის ქუჩა გაიხსნა

ცნობილი რეჟისორის სერგო ფარაჯანოვის ქუჩა მთაწმინდაზე გაიხსნა.

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ამიერიდან ხელოვანის სახელს კოტე მესხის შესახვევი ატარებს.

სერგო ფარაჯანოვმა მთელი ცხოვრება თბილისში გაატარა და კინემატოგრაფში ნამდვილი შედევრები შექმნა. სამწუხაროდ, თბილისში მისი სახლ-მუზეუმი არ არსებობს.



## უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა დმანისში



საქართველოს ეროვნული მუზეუმის მკვლევართა გუნდმა დმანისში, სოფელ ქვემო ოროზმანთან, აფრიკის კონტინენტის ფარგლებს გარეთ ჰომინიდების გავრცელების ახალი კერა გამოავლინა.

აღმოჩენილმა არტეფაქტებმა მთლიანად შეცვალა წარმოდგენა ოროზმანის ძეგლის შესახებ. გაჩნდა მტკიცებულება, რომ დმანისის ცნობილი არქეოლოგიური ძეგლის გარდა, კიდევ ერთი მსოფლიო მნიშვნელობის პრეისტორიული ობიექტი არსებობს. არქეოლოგიური გათხრების დროს, კარგად შემონახულ განამარხებულ ცხოველთა ნაშთებთან ერთად, გამოვლინდა დმანისის მსგავსი ადრეპალეოლითური არტეფაქტები — ქვის იარაღები, ანატკეცები და ა.შ.

მკვლევართათვის ოროზმანის პალეონტოლოგიური ადგილსაპოვებელი 1960-იანი წლებიდანაა ცნობილი. 2010 წელს ქართველ და ფრანგ მკვლევართა ჯგუფის მიერ, ძეგლის თარიღი პალეონტოლოგიური ძეგლის აბსოლუტური დათარიღების მეთოდით განისაზღვრა. მიღებული შედეგები გამოქვეყნდა საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალში.

ორი წლის წინ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დმანისის სამეცნიერო ექსპედიციის წევრების მიერ, ძეგლზე ჩატარდა სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოები. სატესტო ჭრილის გაჭრისა და შესწავლის შედეგად, უძველესი ფაუნის ნაშთებთან ერთად, ძეგლზე უძველესი ჰომინიდების აქტივობის დამადასტურებელი, დმანისის მსგავსი არტეფაქტები გამოვლინდა.

20 აგვისტოდან, ოროზმანის ძეგლის შესასწავლად, მიმდინარეობს საერთაშორისო სამეცნიერო ექსპედიციის პირველი სეზონი ქართველი და ამერიკელი მეცნიერებისა და სტუდენტების მონაწილეობით.

ოროზმანის აღმოჩენა დიდ სამეცნიერო ინტერესს იწვევს ქართველ და უცხოელ სპეციალისტებს შორის, რადგან მტკიცდება, რომ სამხრეთ კავკასია, კერძოდ კი დმანისის შემოგარენი, ათვისებული იყო აფრიკიდან ევრაზიაში მიგრირებული უძველესი ჰომინიდების ჯგუფების მიერ.

ექსპედიციის ხელმძღვანელია ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი გიორგი ბიძინაშვილი.

## მამაკაცმა ნოკია 3310 გადაყლაპა და ცოცხალი გადარჩა

კოსოვოს ქალაქ პრიშტინაში ექიმებმა მამაკაცის კუჭიდან მის მიერ გადაყლაპული მობილური ტელეფონი ნოკია 3310 ამოიღეს.

33 წლის მამაკაცმა, რომლის ვინაობა უცნობია, ნოკია 3310 მოდელის მობილური ტელეფონი მთლიანად გადაყლაპა. ტელეფონი მის კუჭში გაიჭედა და იქ ოთხი დღე დაჰყო. კოსოვოელის სიცოცხლე საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ვინაიდან ტელეფონის აკუმულატორიდან შესაძლოა მჟავას გამოეჟონა. მამაკაცი ძლიერ ტკივილებს განიცდიდა და საავადმყოფოს მიმართა. ექიმების დროული ჩარევის შედეგად კოსოვოელი სიკვდილს გადაურჩა.

სამედიცინო ბრიგადის ხელმძღვანელმა სკენდერ ტელიაკუმ ჟურნალისტებს პაციენტის რენტგენის სურათები და მისი კუჭიდან ამოღებული ტელეფონის ფოტოსურათი წარუდგინა.

ექიმებს მობილური ტელეფონის ამოსაღებად ქირურგიული ჩარევისთვის არ მიუმართავთ. მათ ის ენდოსკოპის დახმარებით სამ ნაწილად ამოიღეს. ტელიაკუს თქმით, სამედიცინო ჩარევამ გართულებების გარეშე ჩაიარა.

რატომ და რა ვითარებაში გადაყლაპა მამაკაცმა მობილური ტელეფონი, უცნობია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ზაურ ბოლქვაძე 85 წლის გახდებოდა



ანსამბლ „ქართული ხმების“ ერთ-ერთი გამორჩეული მომღერალი, შეუდარებელი პირველი ხმა ზაურ ბოლქვაძე 85 წლის გახდებოდა.

— პირველების პირველი ხმა — ასე უწოდებენ მას ქართული სიმღერის მოყვარულები და პროფესიონალები.

ზაურ ბოლქვაძის მიერ ნამღერი „მარტოსულო ქალბატონო“, „შენ დაგეძებ დილაა თუ ბინდია“, „ნეტავ რა მოხდებოდა“, „რა ვიღონო, რით ვუშველო იარებს“ ოქროს ფონდშია შეტანილი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 2.2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. უსქესო, ვეგეტატიური გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 5. იპოდრომი ინგლისში, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დოღი; 6. ხერხემლის გამრუდება; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ადიგენის რაიონში; 10. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 11. მრავალხმიანობა მუსიკაში; 14. ქართული ჟურნალი; 16. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 18. გალავნით შემოსაზღვრული ძველი თბილისის უბანი.

**თარაზულად:** 1. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 4. ალპინისტთა ლაშქრობა რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრით; 7. ტბა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე; 8. წყლის ბინადართა საერთო სახელწოდება, რომელთაც დინების საწინააღმდეგო მიმართულებით შეუძლიათ გადაადგილება; 10. ბულგარელი ნათელმხილველი ქალი; 13. ზღვა თურქეთისა და საბერძნეთის სანაპიროებთან; 15. ძვირფასი ქვა, ძალზე მტკიცე მინერალი; 17. დენის წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 19. ინდური იგავარაკების კრებული; 20. ოსური ცეკვა; 21. ბრაზილიური არაყი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

